



**„მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის
საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის
პროექტის“ შეფასების ანგარიში**

2014 წელი

This publication has been produced with the assistance of the ENPARD. The contents of this publication are the sole responsibility of “Enhancing Small Farmers’ Cooperation and Productivity in Imereti and Racha Regions” project implement partners and can in no way be taken to reflect the views of the European Union.

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა ENPARD - ის მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ პროექტის “მცირე ფერმერული კოოპერატივების მწარმოებლობის გაძლიერება იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში“-ს განმახორციელებელი პარტნიორები. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ENPARD - ის პოზიციას.



პროექტი
დაფინანსებულია
ENPARD - ის მიერ



პროექტის
განმახორციელებელი



პროექტის პარტნიორი

შინაარსი

| | |
|---|----|
| ”მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ მოკლე მიმოხილვა..... | 3 |
| კვლევის მეთოდოლოგია | 5 |
| პროექტის მიზნების შეფასება | 8 |
| პროექტისა და მისი განხორციელების პროცესის შეფასება | 12 |
| პროექტის მდგრადობა და რისკები..... | 21 |
| ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები | 24 |
| დანართი..... | 27 |

“მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ მოკლე მიმოხილვა

მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ განმახორციელებელია „ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“. პროექტის დამფინანსებელი - სახელმწიფო ბიუჯეტი, ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი. პროექტის ხანგრძლივობა 2014 წლის 1 თებერვლიდან ამავე წლის 30 ნოემბრამდე.

პროექტის მიზანია 2014 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო პირველადი წარმოების აგროტექნოლოგიური ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობით მცირემიწიანი ფერმერების საქმიანობის სტიმულირების გაგრძელება მათი მდგრად და განვითარებად ფერმერულ მეურნეობებად ჩამოსაყალიბებლად. პროექტი უზრუნველყოფს, როგორც ერთწლიანი კულტურების წარმოების აგროტექნიკური (ხვნა) ღონისძიებების ჩატარების და საწარმოო საშუალებების (სასუქი ან/და სათესლე მასალა ან/და მცენარეთა დაცვის საშუალებები) მიწოდების განხორციელების ხელშეწყობას, ასევე იმ მცირემიწიანი ფერმერების საქმიანობის ხელშეწყობას (სასუქით ან/და მცენარეთა დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა), რომელთაც თავიანთ მიწის ნაკვეთებზე მხოლოდ მრავალწლიანი კულტურები გააჩნიათ.

პროექტის ბენეფიციარები არიან ფერმერები, რომელთაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 1.25 ჰა-ის ჩათვლით ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და რომლებსაც ისინი იყენებენ ერთწლიანი ან მრავალწლიანი კულტურების წარმოებისთვის. ბენეფიციარის მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 5 ჰა-ს.

2014 წლის საგაზაფხულო პროექტის პოტენციური ბენეფიციარების რაოდენობა შეადგენს 757,000 ფერმერს.

პროექტის განხორციელების ყველა ეტაპის გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა, რომ ფერმერებისთვის სხვადასხვა სახის სარგებლის გადაცემის საუკეთესო საშუალებას საბანკო ბარათი წარმოადგენს. აგრო ბარათი წარმოადგენს საბანკო პლასტიკურ ბარათს, რომელზეც თანხის ნაცვლად დარიცხულია ქულები, რომლითაც ფერმერს შესაძლებლობა ექნება სხვადასხვა, თვისობრივად განსხვავებული სარგებლის მიღება. ასევე საშუალება ექნება სასოფლო-სამეურნეო საქონელი მიიღოს ნაწილ-ნაწილ, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მომწოდებლისგან და ბანკში მიუსვლელად აკონტროლოს ბარათზე დარჩენილი ქულები. აგრობარათის გამოყენება ფერმერებს შეეძლებათ მომავალში განხორციელებული სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში. აგრო ბარათი, მოსახერხებელია როგორც ფერმერებისათვის, ისე სააგენტოსთვისაც რადგან სააგენტოს საშუალება ექნება სრულად აკონტროლოს მისაღები სარგებლის მიზნობრიობა და ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია ფერმერის მიერ ბარათის გამოყენების შესახებ.

ბენეფიციარები, მათ მფლობელობაში არსებული მიწის ფართობის კატეგორიების მიხედვით მიიღებენ შემდეგი სახის სარგებელს:

- ბენეფიციარები, რომელთაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 0.25 ჰა-მდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და მათ იყენებენ ერთწლიანი ან მრავალწლიანი კულტურების წარმოებისთვის მიიღებენ 50 ლარის ღირებულების სარგებელს სასოფლო-სამეურნეო საქონლის სახით;

- ბენეფიციარები, რომელთაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 0.25 ჰა-დან (ჩათვლით) - 1.25 ჰა-ს ჩათვლით ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და მათ იყენებენ ერთწლიანი კულტურების წარმოებისთვის, მიიღებენ ნაკვეთის ფართობის პროპორციული ღირებულების სარგებელს, 1ჰა-ზე 140 ლარის გაანგარიშებით ნიადაგის ხვნის სამუშაოების სახით და ასევე ისინი მიიღებენ 50 ლარის ღირებულების სარგებელს, სასოფლო-სამეურნეო საქონლის სახით;
- ბენეფიციარები, რომელთაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 0,25ჰა-დან(ჩათვლით) - 1.25 ჰა-ს ჩათვლით ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებზეც მათ გაშენებული აქვთ მრავალწლიანი კულტურები და არ გააჩნიათ ერთწლიანი კულტურების წარმოებისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთი მიიღებენ 50 ლარის და ასევე ნაკვეთის ფართობის პროპორციული ღირებულების სარგებელს, 1ჰა-ზე 140 ლარის გაანგარიშებით, სასოფლო-სამეურნეო საქონლის სახით;
- ბენეფიციარები, რომლებიც სხვადასხვა ტერიტორიულ ორგანოში ფლობენ ორ ან მეტ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს და მათი ჯამური ფართობი არ აღემატება 5 ჰა-ს, მიიღებენ სარგებელს მხოლოდ ერთ მიწის ნაკვეთზე. აღნიშნული ბენეფიციარები სარგებელს მიიღებენ ამ ნაკვეთებს შორის უდიდესი ფართობის მქონე მიწის ნაკვეთზე.

კვლევის მეთოდოლოგია

პროექტის შესახებ

”მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის” შეფასების კვლევა განხორცილდა პროექტის ”მცირე ფერმერული კოოპერატივების მწარმოებლობის გაძლიერება იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში” ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ევროკავშირის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის (ENPARD) -ის ფინანსური მხარდაჭერით.

ევროკავშირის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის (ENPARD) პოლიტიკური ინიციატივაა, რომელიც აღიარებს სოფლის მეურნეობის მნიშვნელობას სურსათის უსაფრთხოების, მდგრადი წარმოებისა და სოფლად დასაქმების თვალსაზრისით.

პროგრამის ხანგრძლივობა ხუთი წელია (2012 წლის იანვარი - 2016 წლის იანვარი) და იგი მიმართულია: სოფლად მცხოვრები ფერმერებისათვის საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრების ჩამოყალიბებაზე, ხელისუფლებისთვის დახმარების გაწევაზე ისეთი კანონების მიღებაში, რომლებიც ხელს შეუწყობს კოოპერაციას ფერმერებს შორის, და სოფლის განვითარების მიზნით გრანტების გაცემაზე ფერმერებისთვის მასშტაბზე ორიენტირებული ეკონომიკის განვითარებაში დახმარების გასაწევად.

ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში 15 მილიონი ევრო გაცემულია გრანტების სახით, რომელიც გადანაწილებულია 4 კონსორციუმზე. მათ შორის ერთ-ერთია PIN – ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“ - ის კონსორციუმი, რომლის წევრებიც არიან ორგანიზაცია ”ადამიანი გაჭირვებაში” (PIN), ბიოფერმერული ასოციაცია ”ელკანა” და საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. ოთხივე კონსორციუმს გააჩნია საკუთარი სამოქმედო არეალი რომელიც გადანაწილებულია რეგიონების მიხედვით. აღნიშნული კოალიციის სამოქმედო არეალი მოიცავს შემდეგ მუნიციპალიტეტებს: **ონი, ამბროლაური, ხარაგაული, ტყიბული, ზესტაფონი, ბაღდათი, თერჯოლა, წყალტუბო და ხონი.** პროექტი მიზნად ისახავს შემდეგი შედეგების მიღწევას:

- ❖ უფრო ეფექტური ბიზნესპრაქტიკის გამოყენებით გაზრდილი ფერმერების შემოსავალი წარმატებული ბიზნესზე ორიენტირებული მცირე ფერმერებისა და მეწარმეთა ჯგუფების განვითარებით;
- ❖ გაზრდილი სამეურნეო შემოსავალი და გაყიდვების მოცულობა, თანამედროვე და გაუმჯობესებული მეურნეობის, წარმოების, გადამამუშავებისა და მარკეტინგის მიდგომების გამოყენებით;
- ❖ პოლიტიკის შემუშავების პროცესში ფერმერთა და სოფლის მოსახლეობის უშუალო მონაწილეობის შედეგად გაუმჯობესებული აგრობიზნესის გარემო და სოფლის მეურნეობის სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობა.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზნად განისაზღვრა მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის შედეგების თვისებრივი შეფასებისა და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევამ მოიცვა "მცირე ფერმერული კოოპერატივების მწარმოებლურობის გაძლიერება იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში" პროექტის მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ფერმერები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, აგრონომები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიმწოდებლები. ჩარღმავებული ინტერვიუები ასევე ჩატარდა სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს წარმომადგენლებსა და აგრარულ ექსპერტებთან.

მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი საქართველოს მასშტაბით განხორციელდა, კვლევის არეალი განისაზღვრა იმ ცხრა მიზნობრივი მუნიციპალიტეტით, რომელსაც მოიცავს პროექტი "მცირე ფერმერული კოოპერატივების მწარმოებლურობის გაძლიერება იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში". თუმცა მიღებული შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები იძლევა შესაძლებლობას განვაზოგადოთ ისინი და მივიჩნიოთ რელევანტურად პროექტის შეფასებისათვის.

ხვნა-თესვის პროგრამის შეფასებისათვის გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები. ჩატარდა 9 ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა და 27 ჩარღმავებული ინტერვიუ.

ფოკუს-ჯგუფების შეხვედრები

| # | მუნიციპალიტეტი | ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა რაოდენობა | თარიღი |
|---|----------------|--------------------------------------|------------|
| 1 | ონი | 9 | 06/11/2014 |
| 2 | ამბროლაური | 13 | 06/11/2014 |
| 3 | ხარაგაული | 10 | 17/11/2014 |
| 4 | ტყიბული | 9 | 18/11/2014 |
| 5 | ზესტაფონი | 9 | 17/11/2014 |
| 6 | ბაღდათი | 11 | 20/11/2014 |
| 7 | თერჯოლა | 12 | 18/11/2014 |
| 8 | წყალტუბო | 11 | 19/11/2014 |
| 9 | ხონი | 10 | 19/11/2014 |

თითოეული ჯგუფისათვის განხორციელდა მონაწილეთა რეკრუტირება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- რეკომენდირებული მოთხოვნა - 1 მონაწილე, რომელსაც სურდა, მაგრამ ვერ მიიღო ანდა ვერ გამოიყენა ბარათი;
- სავალდებულო მოთხოვნა - მონაწილეთა სტრუქტურა მიწის ფართობის მიხედვით.

| მინიმალური რაოდენობა | მიწის ფართობი | ბარათის ტიპი |
|-------------------------|---------------|--------------|
|-------------------------|---------------|--------------|

| | | |
|---|---------------------------|-------------------------------------|
| 1 | 0.25-1.25 ჰა სახნავი | სახნავი ბარათი/საწარმოო საშუალებები |
| 2 | 0-0.25 ჰა სახნავი | სახნავი ბარათი/საწარმოო საშუალებები |
| 1 | 0.25-1.25 ჰა მრავალწლიანი | საწარმოო საშუალებები |
| 2 | 0-0.25 ჰა მრავალწლიანი | საწარმოო საშუალებები |

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვერ მიიღებნა ისეთი მონაწილე ვისაც სურდა, მაგრამ ვერ მიიღო ბარათი. შესაბამისად, ფოკუს-ჯგუფების ყველა მონაწილე წარმოადგენდა პროექტის ბენეფიციარს.

საწყის ეტაპზე მომზადდა ფოკუს-ჯგუფის ჩატარების სახელმძღვანელო საბაზისო ვერსია, რომლის შემდგომი ადაპტირება და საბოლოო ვერსიის შემუშავება მოხდა ბენეფიციარებთან ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით. *ფოკუს-ჯგუფის სახელმძღვანელო მოცემულია დანართ 1-ში.*

ჩაღრმავებული ინტერვიუები

ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა 27 რესპონდენტთან. შესწავლილ იქნა 6 სამიზნე ჯგუფი, რომლებიც პირდაპირ ან ირიბ კავშირში არიან პროგრამის დაგეგმვის განხორციელებისა და შეფასების პროცესებთან. თითოეული ჯგუფისათვის განისაზღვრა კვლევის სპეციფიკური ამოცანა.

ინტერვიუების განაწილება სამიზნე ჯგუფების სტრუქტურის მიხედვით და კვლევის შესაბამისი სპეციფიკური ამოცანები

| # | ჯგუფი | რაოდენობა | სპეციფიკური ამოცანა |
|---|---|-----------|--|
| 1 | ბენეფიციარები | 5 | ფოკუს-ჯგუფის სახელმძღვანელოს ფერმერთა მიერ დასმულ საკითხებზე ადაპტირება |
| 2 | მიმწოდებლები | 9 | პროცედურული საკითხების იდენტიფიკაცია; მოთხოვნა -მიწოდების შესაბამისობის შეფასება |
| 3 | ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები | 5 | ადგილობრივი საჭიროებების ინდეტიფიკაცია; პროგრამის გამოწვევების შეფასება; |
| 4 | სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო | 2 | პროგრამის შეფასება პროცედურული კუთხით; ალტერნატიული მოსაზრებები პრობლემებისა და მიღწევების კუთხით. |
| 5 | აგრონომები | 2 | სასოფლო-სამეურნო საჭიროებების, ძირითადი პრობლემების იდენტიფიკაცია, რეკომენდაციების მოპოვება |
| 6 | აგრარული ექსპერტები | 4 | რეკომენდაციების შემუშავება/დახვეწა |
| | სულ | 27 | |

ჩაღრმავებული ინტერვიუსთვის მომზადდა ჩარჩო ინსტრუმენტი, რომელსაც დაემატა სპეციფიკური საკითხი რესპონდენტის კვალიფიკაციისა და კატეგორიის შესაბამისად, ასევე მოხდა კვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციისა და საკითხების გათვალისწინება.

ბენეფიციარებთან ინტერვიუ ჩატარდა პირველ ეტაპზე ფოკუს-ჯგუფების სახელმძღვანელოს საბოლოო ვერსიის შემუშავებისათვის.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან ინტერვიუ ჩატარდა კვლევის ბოლო ეტაპზე, როდესაც ყველა სხვა წყაროსაგან მიღებულ იქნა ინფორმაცია.

ჩაღრმავებული ინტერვიუს სახელმძღვანელოები მოცემულია დანართებში 2-7.

პროექტის მიზნების შეფასება

“მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის” დეკლარირებული მიზანია: **2014 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო პირველადი წარმოების აგროტექნოლოგიური ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობით მცირემიწიანი ფერმერების საქმიანობის სტიმულირების გაგრძელება მათი მდგრად და განვითარებად ფერმერულ მეურნეობებად ჩამოსაყალიბებლად.**

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტის მიზნის ის ნაწილი, რომელიც გულისხმობს მცირემიწიანი ფერმერების საქმიანობის სტიმულირებას ფაქტობრივად მიღწეულია, ხოლო მდგრად ფერმერულ მეურნეობებად ჩამოყალიბების მიმართულებით გარკვეული პროგრესი არის, თუმცა ეს უკანასკნელი საკითხი დამატებითი ღონისძიებების განხორციელებას მიოთხოვს, თან გრძელვადიან პერიოდში.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მიზანი არ ყოფილა სასოფლო-სამეურნეო საქონელზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა და აგრარულ სფეროში სასოფლო-სამეურნეო საქონლის საცალო ვაჭრობის განვითარება, თამამად შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნული საკითხები წარმოადგენენ პროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევებს.

ორბიექტური შეფასებისათვის აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ისეთ ფაქტორებზე, რომლებიც პირდაპირ კავშირში არაა პროექტის დაგეგმვისა და ორგანიზების პროცესებთან, თუმცა პირადაპირ ზეგავლენას ახდენს მიზნების მიღწევის ეფექტიანობაზე. მათ შორისაა: აგრონომიული მომსახურების ხარისხი და ხელმისაწვდომობა; ტექნიკით მომსახურების ორგანიზაციული საკითხები - ტექნიკის პარკი, განსაკუთრებით პრობლემატურია მცირე გაბარიტიანი ტექნიკის დეფიციტი; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულების რეგისტრაცია; კოოპერატივების არარსებობა ან/და მათი განვითარების ძალიან დაბალი დონე. ამასთან, საკმაოდ დიდ როლს ასრულებს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის აღქმა, დამოკიდებულებები და მოტივაციის დონე და სხვა გარემო ფაქტორები.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის პროგრამის შეფასებისას ძირითადი უკმაყოფილება აგრო ბარათის დაბალ ღირებულებასა და შესაძლო შესაძენი პროდუქტების ჩამონათვალის შეზღუდულობას ეხებოდა. რამდენადაც ადგილობრივი ფერმერები ძირითადად ახდენენ 2014 წლის წინა 2013 წლის ანალოგიურ პროგრამასთან შედარებას, რომლის ბიუჯეტიც 2-ჯერ მეტი იყო. შესაბამისად, 2014 წლის პროექტის ფარგლებში არ შეეძლოთ აგრო ბარათით ინვენტარის შეძენა.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შესწავლილ იქნა ფერმერების წარმოდგენები - თუ რა არის პროექტის მიზანი და რამდენად იქნა იგი მიღწეული. ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ფერმერების აზრით, პროექტი იმთავითვე ვერ უზურნველყოფდა ხელშესახებ ფინანსურ ზემოქმედებას გლეხებზე, თუმცა გარკვეული ფინანსური შეღავათები გაეწიათ მცირემიწიან

ფერმერებს. პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია, ის რომ გლეხებმა ნახეს რა ეფექტი აქვს მათთვის ტექნიკის გამოყენებას, როგორც ფინანსური და დროის თვალსაზრისით, ასევე მოსავლიანობის კუთხით. "ჩემთვის ამ პროგრამამ პირველ რიგში ის მოიტანა, რომ აღარ დამჭირვებია მეზობლისთვის ხვეწნა, რომ მოსულიყო და ხარით მოეხვნა ჩემი მიწა - ეს ასევე დროის ფაქტორიცაა."; "ეს პროგრამა ხომ ითვალისწინებდა უფასო ხვნას, შესაბამისად შეიძლება ითქვას რომ ტექნიკამ ჩანაცვლა ხარი და თოხი და გლეხი გადადის ტექნიკის მოხმარებაზე"; "ამ პროგრამის მიზანი ის იყო, რომ ხალხისთვის ეჩვენებინა, როგორ უნდა შესრულდეს სამუშაოები ტექნიკის გამოყენებით. გლეხმა გადაადგო თოხი და მიხვდა, რომ რაღაც უნდა შეცვალოს, რაღაც უნდა ისწავლოს"; "ამ პროგრამის მიზანი იყო სოფლის მეურნეობის მხრივ გლეხის წინ წამოწევა, ხალხი ვერ ამუშავებდა მიწის ნხევარზე მეტსაც კი. სად აქვს გლეხს ტრაქტორის ყიდვის საშუალება?! სასუქიც თუ არ მიეცი თვითონ ვერაფერს გახდება. თემსაც არ შეუძლია ტრაქტორის ყიდვა სახლემწიფომ თუ არ მისცა, არავინაა მაგის მყიდველი".- აცხადებენ ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები სხვადასხვა რეგიონებიდან.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროექტის განხორციელების შედეგად მოხდა ისეთი მიწების დამუშავება, რომელსაც დამოუკიდებლად მანამდე მოსახლეობა ვერ ამუშავებდა. რაც შეეხება ისეთ ფერმერებს, რომლებიც ნებისმიერ შემთხვევაში ახორციელებდნენ მიწის მოხვნას, მათთვის მოხდა ხვნაზე გასაწევი ხარჯების დაზოგვა.

რაც შეეხება, პროგრამის იმ ნაწილს, რომელიც ითვალისწინებდა აგრო ბარათებით სარგებლობას, ბენეფიციართა დამოკიდებულები განსახვავებულია. ამასთან, წინა 2013 წლის ანალოგიური პროექტით გათვალისწინებული იყო ბევრად მეტი თანხა და იმავდროულად პროდუქტების ჩამონათვალი პრაქტიკულად შეუზღუდავი იყო. გლეხების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ წინა პროექტი ამ კუთხით მნიშვნელოვნად ჯობდა.

აუცილებლად და ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის პროექტმა შექმნა გარკვეული "თამასა" და შესაბამისი მოლოდინები გლეხებში, და ბუნებრივია, რომ ნებისმიერი შემდგომ დაწესებული შეღავათი, რომლიც ამ "თამასის" ქვევით მოხვდებოდა წინასწარ იქნებოდა განწირული დაბალი შეფასებისათვის.

საგულისხმოა, რომ გარკვეულ მუნიციპალიტეტებში არ იყო მოთხოვნა სასუქებზე, მათი აზრით, უკეთესი იქნებოდა, რომ მეტი თავისუფლება ქონოდათ სასოფლო-სამეურნეო საქონლის არჩევანში. მაგალითად, ონის ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების აზრით: "რად უნდა ამდენი შხამ-ქიმიკატები ჩვენთან გლეხს. ამდენ შხამ-ქიმიკატებს ჩვენ არ ვიყენებთ, რამდენი უნდა გამოიტანო და დადო, ეს არის გამორიცხული. ესე გამოვიდა რომ წლევანდელი სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა ბარათების სახით ისევ სახლემწიფოს დაუბრუნდა. არადა რაც გვჭირდებოდა - პატარა იარაღები იმის ყიდვა კი არ შეგვეძლო"; "50 ლარის შაბიამანი არ მჭირდება. აი ლაფატკა, შარშანწინ ვიყიდეთ, მაგრამ ტყდება და ამიტომ უნდა იყოს არჩევანი რომ შევიძინოთ ის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ინვენტარი, რაც გვჭირდება".

ზოგადად, პროგრამასთან მიმართებაში ძირითადი უკმაყოფილება, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, თითქმის ყველა შემთხვევაში ეხებოდა იმ ნორმას, რომ ბარათით მხოლოდ შხამ-

ქიმიკატების შესყიდვა შეეძლოთ და არ ქონდათ შესაძლებლობა წინა წლის პროგრამის მსგავსად მათთვის სასურველი ინვენტარი შეეძინათ. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობის პროგრამების მართვის სააგენტო განმარტავს, რომ პროექტის პრიორიტეტი იყო რომ მოხსულიყო მიწები, შემდგომი ამოცანა კი მდგომარეობდა იმაში, რომ მომხდარიყო სასუქითა და სათესლე მასალებით სათანადო უზრუნველყოფა. შედეგად, საგრძნობლად მოიმატა დახსული მიწების ფართობებმა. ამასთან, პროგრამის არსი მდგომარეობდა ხვნა-თესვის სამუშაოების ხელშეწყობაში და იგი არ ითვალისწინებდა ზოგადად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების ხასიათის დახმარებას.

შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა გამოხატავდა რა უკმაყოფილებას ბარათით შესაძენი სასოფლო-სამეურნეო საქონლის ჩამონათვალთან დაკავშირებით, პროგრამის მიზნების შესრულების თვალსაზრისით აღნიშნული საკითხი არ წარმოადგენს ნეგატიურ ფაქტორს. თუმცა, ანალოგიური პროგრამების დაგეგმვისას შესაძლოა არ იყოს აზრს მოკლებული ჩამონათვალის რევიზია და გარკვეული განახლება.

ხვნა-თესვის პროექტის შეფასების მიზნით ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიმწოდებლებთანაც. მათი აზრით, პროექტმა საერთო ჯამში დადებითი ზეგავლენა მოახდინა ფერმერებზე, განსაკუთრებით კი მათზე ვისაც მცირე მიწა ქონდა და ხშირ შემთხვევაში საერთოდ ვერ ახერხებდნენ მიწის დამუშავებას. ამასთან ასეთი კატეგორიის პირებმა, შეძლეს სათესლე მასალების და სასუქის შეძენა. რაც შეეხება იმ პირებს, რომლებიც შედარებით დიდი ფართობის მიწებს ამუშავებდნენ, მათთვის რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა ამ პროექტს არ მოუხდენია. **თუმცა მიმწოდებლებთან მიმართებაში გამოვლინდა სხვა მნიშვნელოვანი გარემოება, რაც უკავშირდება მათი როგორც ბიზნესექტორის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.** კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ პროექტის შედეგად პირველ რიგში გაიზარდა გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა აგრარულ საცალო მაღაზიებზე. ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ფერმერის აზრით - "ამ პროგრამის გამო ჩვენთან 3 მაღაზია გაიხსნა, მანამდე რაიონულ ცენტრში გვიწევდა წასვლა და ხშირად არც გვიღირდა მაგის გაკეთება. ახლა თუნდაც ისეთი რამ გჭკირდებოდეს, რომელიც შეიძლება არც შედიოდეს ბარათში, ჩვენთვის მაინც მოსახერხებელია. სამი მაღაზიაა და სადმე მაინც იშოვი რაც გჭირდება". გარდა ამისა, თვით მიმწოდებლების კვლევამაც აჩვენა პროგრამის განხორციელების ორი მნიშვნელოვანი დადებითი შედეგი: (1) **გაიზარდა არსებული მაღაზიების გაყიდვები;** (2) **უმუშალოდ პროგრამისთვის გაიხსნა ახალი მაღაზიები ისეთ გეოგრაფიულ ზონებში, სადაც მანამდე არ იყო მათთვის მომგებიანი ამგვარი მაღაზიების ოპერირება.** "გაიზარდა ჩვენი რეალობაცია, ბევრმა ისეთმა ადამიანმა მიიღო ეს ბარათი რომ მიწას საერთოდ არ ამუშავებდა. ის ადრე არ ყიდულობდა და ახლა რომ იყიდა გაიზარდა ჩემი შემოსავალიც"; "გაიზარდა უფრო მომხმარებლების რაოდენობა, რეალიზაციაც, მომხმარებლები გახდნენ ადამიანები ადრე ვინც არც ჩამოდიოდა სოფელში. ისინიც ჩამოვიდნენ ქალაქიდან და დაამუშავეს მიწა, სასუქი და სხვა მასალები ჩვენგან იყიდეს"; "მე მაქვს შერეული მაღაზია, პროდუქტებიც არის, და სხვა რაღაცეები. მე მადლობელი იმ კუთხით ვარ, რომ ამ ბარათზე რომ მივეცი საქონელი, ჩემს მაღაზიაში რომ მოვიდა, თან სხვა პროდუქტებიც იყიდა და რეალიზაციაც გაიზარდა. რეალურად გვყავს გარანტირებული მომხმარებელი"; "ჩვენ სპეციალურად ამ პროგრამისთვის გავხსენით მაღაზია და ძალიანაც

გამართლა”; ”ამ პროგრამით გაიზარდა გაყიდვები, იმიტომ რომ, ერთმა კლიენტმა მეორე მოიყვანა და ა.შ.. სხვა მაღაზიებში რომ არ იყო რამე, ჩვენთან მოსულან, ყოფილა შემთხვევა რომ ჩვენ გაგვიშვია სხვაგან” - განაცხადეს მიმწოდებლებმა.

შესაბამისად, პროგრამამ ცალსახად დადებითი როლი შეასრულა სასოფლო-სამეურნეო საქონლით საცალო ვაჭრობის - როგორც მომგებიანი ბიზნესდარგის ჩამოყალიბებისა და განვითარების თვალსაზრისით.

საინტერესოა, პროექტის ბენეფიციარების მოსაზრებები, დამოკიდებულებები და აღქმა იმის შესახებ თუ რა იყო პროგრამის მიზანი. პროექტის მიზნის განმარტებების კუთხით ყველაზე ხშირად დასახელებული პოზიციებისა და დებულებების ჩამონათვალი ამგვარია:

- ”აჩვენოს და ასწავლოს გლეხს ტექნიკით მუშაობა”;
- ”ასწავლოს გლეხს ახალი სათესლე მასალის გამოყენება”;
- ”ასწავლოს გლეხს შხამ-ქიმიკატების გამოყენება”;
- ”გამოუმუშავოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის საჭირო თანამედროვე ჩვევები”;
- ”ვინც ვერ ხნავდა ან მარტო თოხი ეჭირა ხელში, შეძლო მიწის დამუშავება”;
- ”გაიხსნას შხამ-ქიმიკატების ახალი მაღაზიები”;
- ”გაუწიოს შეღავათი გაჭირვებულ გლეხს მიწების დამუშავებაში”.

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროექტის განხორციელების შედეგად შეიცვალა გლეხის ჩვევები და დამოკიდებულებები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების წარმოების თანამედროვე მიდგომებისა და მეთოდების გამოყენების მიმართ. თუ ადრე, როგორც წესი, გლეხები უპირატესობას ანიჭებდნენ მიწის დამუშავების, მოსავლის მოყვანის ტრადიციულ მეთოდებს, მათ რეალურად გაათვითცნობიერეს თანამედროვე საშუალებების უპირატესობები, დაიწყეს კითხვების დასმა, ინფორმაციის მოძიება, რაც ნაწილობრივ პროექტის განხორციელების უშუალო შედეგია. ამასთან, პროექტის საშუალებით მცირემიწიანმა ფერმერებმა დაიწყეს მიწის დამუშავება (რიგ შემთხვევებში მათ ვერ მოახერხეს მაინც მოსავლის მოყვანა ან ქონდათ სხვა ტიპის პრობლემები, მაგალითად ინფორმაციის ნაკლებობა სათესლე მასალის გამოყენების ტექნოლოგიასთან დაკავშირებით), თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, **ადგილი ქონდა მათი ფერმერული საქმიანობის სტიმულირებას.**

პროექტისა და მისი განხორციელების პროცესის შეფასება

პროექტის განხორციელების პროცესის შეფასებისას გამოვლინდა, რომ რაიმე მნიშვნელოვან დარღვევას ან/და გადაცდომას ადგილი არ ქონია. ძირითადად ფერმერების მოსაზრებებით ნეგატიურად შეფასდა არა პროცედურული მხარეები, არამედ შინაარსობრივი საკითხები.

როგორც ფოკუს-ჯგუფების, ასევე ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ **ფერმერებისათვის პროექტის ბენეფიციარად ცნობის და აგრო ბარათის გამოყენების კუთხით რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემა არ შექმნილა.** ყველა ფერმერმა მიიღო შესაბამისი ბენეფიციარის სტატუსი. იყო ერთეული შემთხვევები, როდესაც პირები ვერ მოხვდნენ ე.წ. სიებში, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობების ძალისხმევით უზრუნველყოფილ იქნა დამატებითი სიები და შესაბამისად ყველა მსურველმა მიიღო ხვანა-თესვის ბარათი. გამოვლინდა შემთხვევები, რომ ფერმერები რომლებიც სტაბილურად ცხოვრობენ სოფლად უკმაყოფილოები არიან იმის გამო რომ ბარათით სარგებლობა ასევე შეეძლოთ იმ პირებს, რომლებიც სოფლად არ ცხოვრობენ მაგრამ ფლობენ მიწის ფართობებს და იქ მხოლოდ დასავენებლად ჩადიან. ფერმერები მიიჩნევენ, რომ ასეთ პირებზე რომ არ გაცემულიყო ბარათები, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა უშუალოდ მათი დაფინანსების გაზრდა. თუმცა მათ ვერ დაასახელეს რა მექანიზმით შეიძლებოდა მიწის მფლობელების ობიექტურად დაყოფა და იმის გადაწყვეტა ვის ეკუთვნის სარგებელი და ვის არა. ბარათების აღებასთან დაკავშირებით ასევე გამოვლინდა, რომ პრობლემატური იყო "ლიბერთი ბანკში" დიდი რიგები. ხშირად იყო შემთხვევები, როდესაც ბარათები ასაკოვან ადამიანებზე იყო გამოწერილი და მათ ფიზიკურად უჭირდათ ბანკის ოფისში მისვლა და დიდ რიგში დგომა.

"ჩვენთან ყველამ ადვილად აიღო ბარათი, მხოლოდ ისეთებმა ვერ მიიღეს, უცხოეთში რომ არიან წასულები. სიები რამოდენიმეჯერ გაიგზავნა და ბარათის გარეშე არავინ დარჩენილა"; "ვისაც ეკუთვნოდა და უნდოდა ყველამ აიღო ბარათი, რწმუნებულებმა იმუშავეს ძალიან კარგად"; რაც შეეხება სახნავ ბარათს, ვიღაცამ არ მიაწოდა თავის დროზე ან დაუკავა ეს არის გამორიცხული. ვერცერთი ვერ დააბრალებს სახელმწიფო მოხელეს რომ ბარათი არ მიუღია, ხოლო რაც შეეხება აგრო-ბარათებს, რომელსაც ლიბერთი ბანკი გასცემდა, როგორც მოგეხსენებათ და მეგობრებიც დამეთანხმებიან ჩვენი სოფელი გადაბერებულია, მიწის მესაკუთრე ვინც არის, დაახლოებით 90% არის 80 წელს გადაშორებული, ამიტომ მათთვის რიგში დგომა ძალიან ძნელი იყო, რიგები კიდევ ისეთი იყო სასწაული. წარმოიდგინეთ თქვენ რომ მიესვვა სადღაც 1000 ბენეფიციარი ერთდროულად და კიდევ რამდენი პენსიონერი იყო, რომელიც პენსიას იღებდა კიდევ. ეს იყო ძალიან რთული რამ, ამას სჭირდება დარეგულირება. მერე კიდევ იყო პრობლემები ბენეფიციარებთან დაკავშირებული. ზოგის გადმოგზავნა დროში გაიწელა, რადგან მოხდა უფლებამონაცვლეობის გაკეთება, რამაც დროში გაწელა ეს პორცესი. და ასეთი სიტუაციები იყო, ამიტომ ამას ყველაფერს სჭირდება რათქმაუნდა დარეგულირება"; "პრობლემა არ იყო ბარათზე რეგისტრაცია. სიებიც რამდენჯერმე გასწორდა, მაგრამ არ შეიძლებოდა ეს აგრო ბარათებიც მიეცათ და რწმუნებულებს დაერიგებინათ. ხალხს უჭირს ჩავიდეს ბანკში, დადგეს რიგში შეიძლება ვერ მოესწრო იმ დღეს ბარათის აღება" - განაცხადეს ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ფერმერებმა.

შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხვნა თესვის ხელშეწყობის პროექტის მოცვა იყო სრულყოფილი, თუმცა აგრო ბარათების აღების პროცესი ფერმერებისათვის იყო გარკვეულ ტექნიკურ სირთულეებთან დაკავშირებული.

ასევე იოლი და ადვილად ხელმისაწვდომი იყო სასოფლო-სამეურნეო საქონლის მიმწოდებლებისათვის პროექტის "მიმწოდებლად" რეგისტრაციის პროცესი და ამ კუთხით ბიზნესერთეულებს არანაირი პრობლემა ან/და რაიმე დამატებითი ბარიერი არ შექმნიათ. "მიმწოდებლის" სტატუსი ერთნაირად მარტივად მიიღეს როგორც არსებულმა სავაჭრო ობიექტებმა, ასევე იმ ერთეულებმაც, რომლებმაც სწორედ აღნიშნული პროგრამის გამო გადაწყვიტეს საცალო მაღაზიის გახსნა. ამასთან კანდიდატი კომპანიები ადვილად იღებდნენ საჭირო ინფორმაციას და რეგისტრაციისათვის რაიმე დამატებითი ხარჯების გაწევა არ დაჭირვებიათ. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ჩაღრმავებული ინტერვიუს მიმწოდებელმა რესპონდენტებმა განაცხადეს - "მიმწოდებლად დარეგისტრირების პროცესში არ ყოფილა რაიმე პრობლემა, არაფერი დამატებითი ხარჯი. შეკითხვებზე გვპასუხობდნენ."; "ძალიან მარტივად დავრეგისტრირდი. რამე ხარჯი ან სხვა რამე რთული არ სჭირდება, ერთხელ ჩავედი თბილისში და მორჩა"; "მიმწოდებლისთვის ამ პროგრამაში მონაწილეობა არავითარ პრობლემასთან არ ყოფილა დაკავშირებული. პირიქით, ბევრჯერ რჩევა-დარიგებაც კი მოუციათ".

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო საქონლის მიმწოდებელმა ობიექტებმა სრულყოფილად მოახერხეს საჭირო ასორტიმენტით უზრუნველყოფა. ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ფერმერებმა განაცხადეს, რომ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც მათ სურდათ აგრო ბარათით განსაზღვრული პროდუქტის (სათესლე მასალა ან/და შხამ-ქიმიკატის) შეძენა და ასეთი არ იყო ფიზიკურად შესაბამის აგრო-მაღაზიაში. ამასთან, არ გამოვლენილა ბარათის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა ტექნიკური ან პროცედურული პრობლემები ან/და დარღვევები. ბარათის გამოყენების კუთხით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როგორც სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ, ასევე მიმწოდებლებმა იმუშავეს გამართულად და ეფექტიანად. თუმცა, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ფერმერთა მოსაზრებით, უკეთესი იქნებოდა ბარათით შესასყიდი აგრარული საქონლის ჩამონათვალის გამრავალფეროვნება.

რაც შეეხება ხვნის მომსახურების გაწევას, აქ შეფასებები არაერთგვაროვანია. ძირითადი შინაარსობრივი პრობლემები გამოვლინდა ორი მიმართულებით:

- (1) მცირე გაბარიტიან ტექნიკაზე დაბალი ხელმისაწვდომობა;
- (2) ტექნიკის მომსახურებისათვის რიგებში დგომა და რიგ შემთხვევებში შედეგად აგრო ვადების დარღვევა.

მიუხედავად იმისა, რომ ხვნა-თესვის პროექტის ფარგლებს სცილდება ტექნიკის პარკის შემადგენლობა და შესაბამისი მომსახურების გაწევის პროცედურული და დროითი ეფექტიანობა, აღნიშნული საკითხი პირდაპირ კავშირშია პროექტით გათვალისწინებული აგროტექნიკური (ხვნა) ღონისძიებების ჩატარების უზრუნველყოფის ხარისხთან და შესაბამისად პირდაპირ ასახვას პოვნებს შედეგებზე. დამატებით საქმეს ართულებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დანაწევრიანება და მცირე ფართობები. ფერმერები ხვნის

მომსახურების მიღების შეფასებისას ძირითადად შემდეგი ხასიათის პოზიციებს აფიქსირებდნენ:

- ”ძალიან დიდი შეფერხება გვექონდა შ.პ.ს. მექანიზატორის მხრიდან, მათ მიერ მოწოდებული ტექნიკის 10 ერთეულიდან გამართული იყო მხოლოდ 3 ერთეული, რომელიც ერთი დღე იმუშავებდა და შემდგომ 5 დღე იდგა. ხოლო მექანიზატორი კი თავს იფხანდა და არ იცოდა საიდან დაეწყო და საიდან მოეტანა ნაწილი. მე მომსწრე ვარ, რომ რწმუნებულები თავიანთი თანხით, აკეთებდნენ ამ ტრაქტორს და ყიდულობდნენ ნაწილი იყო თუ რა იყო. ისინი თანხას ღებულობენ ამ სამუშაოს შესრულებისთვის, მაგრამ ტექნიკაზე პასუხისმგებლობას იცილებენ თავიდან. ჩვენი მენეჯერიც დარბოდა თავკუდმოგლეჯილი, არ იცოდა რა მიეტანა მისთვის სალიარკა, ბოლტი თუ ბორბალი. ცენტრის მუშაობა იყო ძალიან გაწეილი დროში და გადადიოდა ძირითადად რწმუნებულებისა და მენეჯერების თავზე”.

- ”ხვანა-თესვასთან დაკავშირებით წინასწარ მოვიდა გრაფიკი შ.პ. ს. მექანიზატორისგან, ამ რიცხვში დაეხნავთ ამ სოფელსო, შემდეგ გადავალთ ამ სოფელშიო, შემდეგ ამ სოფელშიო და ამ გრაფიკის მიხედვით უნდა შევასრულოთ სამუშაოო, როდესაც ადგენ წინასწარ გრაფიკს, არ იცი იმ სოფლის ადგილმდებარეობა, მერე არ იცი კლიმატური პირობები როგორი იქნება?! ეს გრაფიკი აირია და თვითონაც ვეღარ გართევს თავი. ჩვენ თვითონ გავაკეთებდით გრაფიკს და ემუშავათ მათ, ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს და უარი განგვიცხადეს, თავიანთი გრაფიკი ჩაიშალა და მერე ვეღარაფერი ვეღარ თქვეს და შემდგომ ერთობლივი ძალებით როგორღაც გამოვასწორეთ სიტუაცია. შ.პ.ს მექანიზატორმა ძალიან შეგვიშალა ხელი.”

- ”ძალიან ბევრი უკმაყოფილება არის. 2500 მეტრზე ნაკლებში არ შედიან და არ ხნავენ. ჩვენთან სოფელში, რომელიც 800 კომლიანია, აქედან 5 მოსახლეს თუ ექნება 2500 მეტრი მიწის ნაკვეთი, ეს ერთი. მეორე ჩვენთან არის მძიმე ნიადაგები და ძლიერ-მძიმე ნიადაგები. მექანიზმებიც საკმაო რაოდენობით არ არის, იმიტომ რომ დღეს რომ ცუდი ამინდია სამი-ოთხი დღე უნდა რომ გაშრეს ნიადაგი. თვლიანი ტრაქტორები არის, ერთხიდიანი, ორი ხიდი რომ ქონდეს კიდევ მოერევა გუთანს და კიდევ დახნავს, მაგრამ ეს ტრაქტორები ვერ ერევა. იყო წელს შემთხვევები რომ ხალხმა მაისის დასაწყისში დახნა, შემდეგ ისეთი ბუნებრივი პირობები წავიდა რომ მოტობლოკებმაც ვეღარ გადახნა და მოსავალი მათთვის იყო ნული, წამგებიანი და თხოვნა არის ჩემი, თუ აქვს მთავრობას რომ დაუმატონ მექანიზმები”.

- ”ყველაზე სერიოზული და მისახედი საკითხია ალბათ, ტექნიკის განაწილება. ძალიან დიდი აღშფოთება გამოიწვია მოსახლეობის იმან, რომ დაიგეგმა ეს სადღაც კაბინეტში, როდის უნდა ჩატარდეს რომელ აგრო-ვადეებში, მექანიზაციის სამუშაო გრაფიკი აბსოლიტურად არ მიესადაგებოდა რეალობას, იმიტომ რომ ფიზიკურად თოვლი იდო და მექანიზატორს იძულებით შეყავდათ ტექნიკა, აიძულებდა მოსახლეობას დაეხნა მიწები, როდესაც მიწა მწიფე არ იყო ჯერ იმ პერიოდისათვის, ამან დიდი აღშფოთება გამოიწვია.”

- ”ჩვენ გვაქვს რაიონში სახნავი ფართობი 5200 ჰექტრამდე. ამისათვის აუცილებელია და საჭირო, რომ აგრო-ვადეებში მოხდეს ამ სავარგულის დამუშავება. სადღაც 50 ერთეულამდე ტექნიკა, ანუ მე ვგულისხმობ იმას რომ, სადღაც მარტის ბოლოდან აპრილის ბოლომდე, ერთი თვე თვენახევარი აგრო-ვადეების დაცვით. ჩვენ ეხლა შ.პ.ს. მექანიზატორის ტრაქტორი გყავდა 20 ერთეული, ნახევარიც არ იყო იმისა, რაც უნდა გვეყოლოდა. ამან გამოიწვია ის რომ აგრო-ვადეები გადაიწია და დაირღვა. ტექნიკის სიმცირე ეს მარტო ჩვენთან კი არა, მთელი

ქვეყნის მასშტაბით არის. შედეგად მოხდა ისე რომ დაიხნა ფართობები, მაგრამ რადგან გვიან იყო, მერე ისეთი გვალვა წამოვიდა რომ აღმოცენებითაც ვერ აღმოცენდა თესლი. მაგალითად, 20 მეასედი მიწის ფართობი იყო და მხოლოდ 5-6 ძირი სიმინდი იყო ამოსული.”

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რიგი ღონისძიებებია გასატარებელი როგორც ტექნიკის პარკის გაზრდის და განახლების თვალსაზრისით, ასევე მომსახურების გაწევის პროცესების დადგეგმვისა და მართვის ხარისხის გაუმჯობესების კუთხით.

ამასთან საგულისხმოა, რომ პროექტით არ იყო გათვალისწინებული დაფარცხვა, რამაც ფერმერების აზრით, ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა მოსავლიანობაზე. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მაღალმთიან რეგიონებში იყო გამოხატული მოსაზრება, რომ მათ არ სჭირდებოდათ ხვნის მომსახურება, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანი იყო მოთიბვა, რაც ასევე არ ყოფილა პროექტით გათვალისწინებული. ასევე ხშირად დაისვა მოსავლის აღებისათვის საჭირო კომბაინის ხელმისაწვდომობის საკითხი. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით შემდეგი პოზიციები დაფიქსირდა: ”პირველ რიგში, თესვა უნდა აღდგეს, თუნდაც 50 ლარიანი ბარათის მოხსნის ხარჯზე. საბოლოო შედეგი არის თესვა, ხვნა თავისთავად რაღაცას ნიშნავს კი. ეს დახნული მითუმეტეს მაისში, როდესაც დაწვიმების გარეშე უნდა დათესო. არადა თუ არ დაფარცხე, ისე მარტო თესვას არაფერი აზრი არ აქვს. ეს თუ არ აღდგა, არაფერი აზრი არ აქვს. დათესვა-დაფარცხვა რომ აღდგებოდეს 50 ლარიანი ბარათის ხარჯზეც კი, ჩათვალე რომ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება”; ”თესვის შემდეგ, როცა მცენარე ამოვა, იმას გათოხნის კულტივაციას გაუკეთებს გლეხი. მერე 50 და 100 ლარს იშოვის რომ არ გაუფუჭდეს მოსავალი, სასუქის შესყიდვას უფრო მოახერხებს. წელს მაგალითად იმის გამო, რომ სათესი ტექნიკა არ იყო მიწების ნაწილი არ დათესეს, დაიხვნა, მაგრამ არ დათესეს.”

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე დამატებით შესწავლილ იქნა თუ რა ტიპის სასოფლო სამეურნეო საჭიროებები ქონდათ ფერმერებს და იმავდროულად მიიჩნევდნენ რომ მსგავსი ტიპის სახელმწიფო პროექტით იქნებოდა შესაძლებელი დასახელებული საჭიროებების მოგვარება.

კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი სასოფლო-სამეურნეო საჭიროებები, რომელთა მოგვარებაშიც ფერმერებს სჭირდებათ დამატებითი ხელშეწყობა:

- **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულების რეგისტრაცია.** მიწის რეგისტრაციის საკითხი პრობლემურია მთელს საქართველოში და ეს საკითხი სცილდება ხვნა-თესვის პროექტის კომპეტენციებს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რომ რეგისტრირებული მიწების არსებობის შემთხვევაში მნიშვნელოვნად გაიზრდება ამ და მსგავსი ტიპის პროექტების როგორც დაგეგმვის, ასევე განხორციელებისა და შეფასების ეფექტიანობა. დღევანდელი მდგომარეობით ბენეფიციართა სია დგება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელების მიერ, ფერმერები თვითონვე უთითებენ თუ რა მიწას ფლობენ ფაქტობრივად და არა იურიდიულად. ამასთან, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ფერმერებმა არ იცოდნენ რა თუ რა მიზნით სწავლობდნენ მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ მიწების ფართობებს და მათ დამალეს ეს ინფორმაცია. ”ჩვენ

გვეგონა გადასახები უნდა დაეწესებინათ და არ ვთქვით თავიდან რამდენი მიწა გვექონდა, მერე მოგვიწია დამატებით სიებში ჩვენი მონაცემების გასწორება” - აცხადებს ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ფერმერი. ასევე, აღნიშნული საკითხი პირდაპირ პროპორციულია ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის კომპონენტთან. რეალურად არიან ფერმერები, რომლებიც ფლობენ საკმაოდ დიდი მოცულობის მიწებს, მაგრამ არ აქვთ რა იურიდიული რეგისტრაცია გავლილი, ისინი ვერ ახერხებენ საბანკო მომსახურებებით სარგებლობას, ვერ ერთვებიან მათ შორის იაფი კრედიტის პროგრამაში და ა.შ. ” ჩვენს სოფელში სახელმწიფოს რაც შეუძლია გააკეთოს და გლებს რაც სჭირდება ყველაზე მეტად ეს არის დახმარება მიწის რეგისტრაციაში. მაგალითად, მე იმ ბარათის ნაცვლად რომ შემემძლოს მივიღო მიწის რეგისტრაციის ვაუჩერი - ეს არის მთავარი. დღეს ყველაფერი კომპიუტერულია და მის სახელზე უნდა იყოს ის მიწა, რომელსაც ოდითგანვე ამუშავებს”. ”დღეს კერძო კომპანია აკეთებს ნახაზებს, რის გადახდასაც გლები ვერ ახერხებს - ამაში გვინდა დახმარება ჯერ.”; ”მე თუ მკითხვით ჯერ მიწების რეგისტრაცია უნდა მომხდარიყო და მერე დაწყებული ასეთი პროგრამები - ეს ყველა გაუგებრობას აგვაცილებდა თავიდან და აღარ იქნებოდა საჭირო ამ სიების შედგენა, მერე დამატებითი სიების და ჩასწორებების კეთება. თან თუ მიწები დარეგისტრირდებოდა მარტო ამ პროგრამისთვის კი არ იქნებოდა კარგი, ნებისმიერი სხვა პროგრამა სოფლის მეურნეობაში რაც კეთდება, თავიდანვე დალაგებულად შესრულდებოდა.” - აცხადებენ მიწის რეგისტრაციის საჭიროებასთან დაკავშირებით ფერმერები.

- **მიწის ანალიზი.** უნდა ვივარაუდოთ, რომ წინამდებარე ტიპის კვლევა რამოდენიმე წლის წინ რომ ჩატარებულიყო, ფერმერები სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა ჩამონათვალში არ ასახავდნენ მიწის ანალიზს. მიუხედავად იმისა, რომ ხენა-თესვის პროგრამა არ მოიცავდა ამგვარი ლაბორატორიული მომსახურების ხარჯების დაფარვას, პროექტის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ფერმერებმა გაათვითცნობიერეს, რა ტიპის მომსახურებები სჭირდებათ მათ მოსავლიანობის გაზრდისათვის. ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევაა ის რომ ფერმერებმა დაიწყეს უპირატესობის მინიჭება მოსავლის მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიებზე, ე.წ. ”ტრადიციული” და ”მამაპაპური” მიდგომები კი დათმეს. ისინი მიიჩნევენ, რომ როდესაც პროექტი ითვალისწინებს შხამ-ქიმიკატებით უზრუნველყოფას კარგი იქნებოდა იმავდროულად ჩატარებული მიწის ანალიზი, რაც მათ მისცემდათ ამ საშუალებების ოპტიმალურად გამოყენების შესაძლებლობას. ამასთან გაჟღერდა მოსაზრებები, რომ კარგი იქნება თუ სახელმწიფო ჩაატარებს სავარგულების შესწავლას და გასცემს რეკომენდაციებს რომელ რეგიონებში რომელი კულტურის მოყვანა იქნება ოპტიმალური. ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ფერმერებმა განაცხადეს, რომ ”რამდენად სწორი იქნება ჩემი ნათქვამი არვიცი, არიგებთ ამ ქიმიურ სასუქებს და მე არვიცი ნიადაგის ანალიზი, სჭირდება თუ არა მიწას ის სასუქი და მოუხდება თუ არა ის ნიადაგს. მე შეიძლება აზოტს ვაძლევ და კალიუმში სჭირდება მიწას. ნიადაგის ანალიზი აუცილებელია, მე ისიც მესმის რომ სახელმწიფოსთვის ეს ფინანსებთან არის დაკავშირებული, რამდენად ძვირი არის, არც ეს ვიცი.”; ”ქალაქში რომ არის ბინათმესაკუთრებთან დაკავშირებით თანადაფინანსებით სახურავებს უკეთებენ, იგივე თანადაფინანსებით თუ შესაძლებელი იქნება მიწების ანალიზი რომ გაკეთდეს კარგი

იქნება, ეს ერთი საკითხი. მეორე საკითხი, ტყიბულის რაიონი, ვახუშტი ბატონიშვილს აქვს აღწერილი, ”მიწათ მცირი და ხალხი ბეჩავი”. ამ მიწაზე სულ სიმინდი რომ მომყავს, სამინისტრომ რომ გააკეთოს და დაეხმაროს მოსახლეობას თუ რა მოდის კარგად მის მიწაზე და შემდგომ რეალიზაციის პროცესსაც რომ შეუწყოს ხელი კარგი იქნება.” აგრონომებიც მიიჩვენენ, რომ კარგი იქნება თუ მიწის ანალიზის მომსახურების შესყიდვა აგრო ბარათით იქნება შესაძლებელი. ასეთ შემთხვევაში თითქმის ყველა ფერმერი გააკეთებს მიწის ანალიზს.

- **ინფორმირების უზრუნველყოფა და პრაქტიკულ სასწავლო კურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.** ძალიან მნიშვნელოვანია ის მიგნება, რომ ფერმერები არიან მოტივირებულები გაიგონ და ისწავლონ მეტი. გაათვითცნობიერეს რა, რომ მათი ცოდნა არ არის საკმარისი მეურნეობის მართვისა და განვითარებისათვის. პირველ რიგში, მათი აზრით აუცილებელია მიიღონ დეტალური ინფორმაცია და ინსტრუქტაჟი შხამ-ქიმიკატების გამოყენების კუთხით. ამ ეტაპზე საჭირო ინფორმაციის ნაწილს ისინი უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო საქონელის მიმწოდებლებისაგან იღებენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ პროცესში საცალო მაღაზიებს და შესაბამისად იქ მომუშავე პერსონალს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ ინფორმაციული უზრუნველყოფის თვალსაზრისით. შესაძლოა სწორედ მათი საშუალებით მოხდეს საინფორმაციო ბროშურებისა და სხვა მასალების გავრცელება. ამასთან, იგივე მოსაზრებები იქნა დაფიქსირებული სათესლე მასალასთან დაკავშირებით. ფერმერებს სურთ ახალი და უკეთესი სათესლე მასალის გამოყენება, მაგრამ პრაქტიკაში მათ ნახეს რომ არ ეყოთ ცოდნა და ინფორმაცია მოსავალის სათანადოდ მოყვანისათვის. ასევე, არაერთგზის იქნა ნახსენები სადემონსტრაციო მეურნეობები. ფერმერები მიიჩნევენ, რომ ყველაზე კარგი გამოსავალი მათთვის არის პრაქტიკაში და საკუთარი თვალთ ნახონ როგორ მუშაობს ესა თუ ის ტექნოლოგია და მიდგომა, რა შედეგს შეიძლება ელოდონ ამ ტექნოლოგიების დანერგვით. ”მე პირადად ძალიან მაინტერესებს გადავემზადო, ტექნიკურ საკითხებში, რომელ მცენარესთან რომელი მცენარე გაიხარებს უკეთესი მოსავლის მოსაყვანად. მაგრამ სად წავიდე - სად მეტყვიან და მასწავლიან ამას?”; ”ძალიან კარგი იქნება რომ შეგვეძლოს სადემონსტრაციო მეურნეობებში წასვლა. მე ნანახი მაქვს ერთი არაჩვეულებრივი სადემონსტრაციო მეურნეობა. მეცხოველეობა, მეფრინველეობა იყო მომგებიანი და ძალიან სწრაფად იღებ მოგებას და ადამიანს მოტივაცია უჩნდება რომ ეს დარგი განავითაროს. კარგი იქნება რომ გაკეთდეს პროექტი და რამოდენიმე სადემონსტრაციო მეურნეობა განვითარდეს, შეიკრიბოს ახალგაზრდა ოჯახები, გადაიყვანო და აჩვენო, მე იქიდან ისე მოვედი უცებ მომინდა გამეკეთებინა საკალმახე მეურნეობა”; ”ჩვენ ყველაზე მეტად ეხლა საკონსულტაციო ცენტრი გვჭირდება, პირველ რიგში. ძალიან დიდი პრობლემები შეიქმნება იმასთან დაკავშირებით, გლეხი რომ აწარმოებდა სხვადასხვა პროდუქტს, მაგრამ უკვე ვიღაცა სჭირდება ვინც სწორ გზაზე დააყენებს, ურჩევს როგორ მოიყვანოს, რომელი კულტურაა უკეთესი”; ”გლეხს უნდა ქონდეს მეტი ინფორმაცია. აქედან გამომდინარე როცა ინფორმაცია ექნება მიწის დახვნაზე, დათესვაზე, მისცემენ სასუქს და ამას დაინახავს გლეხი. თავისთავად დადებითად მოქმედებს მასზე და სტიმულიც ეძლევა”. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთხსენებული საკითხების მოგვარებაში მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევას შესაძლებელი თუ სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო სექტორი ერთობლივ და სისტემურ ღონისძიებებს გაატარებს.

- **სასოფლო-სამეურნეო იარაღების, ნერგების შესყიდვის შესაძლებლობა პროექტის ფარგლებში.** როგორც ეს ზემოთ იქნა ნახსენები, 2013 წლის ანალოგიური პროექტი (რომელიც თანხობრივადაც მეტი იყო და მოიცავდა სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეძენის შესაძლებლობას) მომდევნო 2014 წლის პროექტის დაბალი შეფასების გარანტი გახდა. ფერმერებს ქონდათ რა მოლოდინი და შესაძლოა უკვე მოფიქრებულ იქნა - რას შეიძენდნენ მომდევნო წელს, მათ ბარათით განესაზღვრათ შესასყიდი საქონლის მნიშვნელოვნად შეზღუდული ჩამონათვალი, თან გაცილებით მცირე ბიუჯეტით. შედეგად, მათი აბსოლუტური უმეტესობა მიიჩნევს, რომ ეს ცვლილება ნეგატიური იყო. საგულისხმოა, რომ ფერმერებისათვის თანხის შემცირებაზე მეტად ჩამონათვალის შეზღუდვა იყო უკმაყოფილების ძირითადი მიზეზი. თუმცა, საინტერესოა სხვა დაკავშირებული მოსაზრებები, რომელიც მეტად რჩება პროგრამის ჩარჩოებში. ფერმერთა ნაწილი, რომლებსაც არ მოყავთ ერთწლიანი კულტურები, მიიჩნევენ რომ ძალიან კარგი და ეფექტიანი იქნებოდა, რომ აგრო ბარათით შესაძლებელი იყოს ნერგების ყიდვა. ამ გზით ისინი შეძლებდნენ, ენახათ თუ განვითარების რა პერსპექტივა შეიძლებოდა ქონოდა ახალ ჯიშებს. ფერმერთა მოსაზრები ძირითადად ასეთი იყო: "სოფლის მეურნეობაში რაც შედის ყველაფერი უნდა იყოს ბარათის ჩამონათვალში, ზოგს რა სჭირდება და ზოგს რა. იმას რომ აძლევ შხამ-ქიმიკატებს - თუ არაფერში სჭირდება? იმას მიეცე ის რაც სჭირდება. ამიტომ უნდა იყოს დიდი არჩევანი, იქიდან გამომდინარე, რომ მიზნობრივად დაიხარჯოს თანხა"; "მე მაგალითად ინვენტარს არ ამოვიღებდი 2014 წელს, იმიტომ რომ ბევრი ქალაქიდან ჩამოვიდა და ისეთი ადგილები დამუშავდა, რომელიც არ დახსულა 20 წლის განმავლობაში. დაამუშავა, სახნავი ბარათი გამოიყენა და შემოღობა კიდევ. თუ პროცენტულად გადავანაწილებთ ყველაზე მეტი წაიღო დრუჟბამ, ცელმა, ბარგალკამ და ასეთმა რაღაცეებმა. შემდგომ მოდის მავთულხლართი და ასეთი რაღაცეები. პირველ რიგში თუ არ შემოღობე ის ნაკვეთი საქონელი გაანადგურებს ყველაფერს. ინვენტარი არ უნდა ყოფილიყო ამ პროგრამიდან ამოღებული"; "ნერგები უნდა შედიოდეს აუცილებლად. მე რა ვიცი რომელი ნერგია კარგი, ან სად წავიდე რომ ვიშოვო - ესეც რომ შედიოდეს პროგრამაში მოწესრიგდება საკითხი და მეცოდინება სად რომელი ნერგი შემიძლია ვიყიდო". "აგრო ბარათით ნერგის ყიდვაც რომ შემეძლოს კარგია - ამას ისიც უნდა მოყვეს რომ მასწავლონ როგორ უნდა მოვუარო რა როდის სჭირდება - იქნებ ამ ახალმა ნერგმა ისე გაამართლოს რომ სულ მაგაზე გადავიდე".

- **ტექნიკური მომსახურების სხვადასხვა სახეობების ხელმისაწვდომობის გაზრდა.** ხვნა-თესვის პროექტის ცალსახა შედეგი არის ის რომ ფერმერებმა სრულიად გაათვითცნობიერეს ტექნიკის როლი და მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმართვაში, რაც ერთ-ერთი ყველაზე დადებითი მიღწევაა. თუმცა იმავდროულად გაჩნდა მზარდი მოთხოვნა ისეთ სერვისებზე, როგორებიცაა: მოთიბვა, დათესვა, დაფარცხვა, მოსავლის აღება და ა.შ. მართალია, ფერმერთა უმეტესობას აქვს მოლოდინი და სურვილი რომ ეს მომსახურებები დახვნის მსგავსად სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ, თუმცა არიან ისეთებიც, ვინც გაათვითცნობიერა ტექნიკის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა, მზადაა საკუთარი შემოსავლებით მოახდინოს სერვისების შეძენა. მათ შემთხვევაში კი ძირითადი პრობლემა არის აღნიშნული დანიშნულებების ტექნიკაზე ხელმისაწვდომობა. ამ

კუთხით კი ხვნა-თესვის პროექტის ფარგლებში არა, მაგრამ სხვა სახელმწიფო პროექტებით ნამდვილად შესაძლებელია გამოსწორდეს მდგომარეობა. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკის პარკის სათანადო რაოდენობისა და სახეობებით განახლება ქვეყნის მასშტაბით საკმაოდ დიდ ფინანსურ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. ამას ემატება პერსონალის მომზადება გადამზადების საკითხიც. რაც საერთო ჯამში საკმაოდ გრძელვადიანი და ფინანსურად მძიმე ამოცანაა. "ფარცხვა არ შედიოდა წელს პროგრამაში, მაგრამ იყვნენ ფერმერები, ვისაც თავისი ხარჯით სურდათ ამის გაკეთება, მაგრამ ისევ ტექნიკა არ იყო თავის დროზე. დაგვიანდა დაფარცხვაც და ვერ მივიღეთ ისეთი მოსავალი"; "სათესლე აპარატურა არ გააჩნია ბაღდათს, რა გახდა ეს აპარატი რომ ვერ მოვიდა. მარტო ჰიბრიდი კი არა ჩვეულებრივი ქართული სიმინდიც ითესება იმ აპარატით, თანაც ადვილია დასამუშავებლად"; "სათიბებზე იყო მოთხოვნა. სათიბებს თუ არ მოთიბავ უხეში ბალახი ამოდის და ყოფილიყო ამ ბარათზე ასევე მოთიბვა. როგორც სახნავს ფლობს გლეხი, ასევე სათიბსაც ფლობს. ყველა ოჯახზე არის განაწილებული, ის სათიბი რაც ქონდათ იქ გამოეყენებინათ ეს ტექნიკა. გორში შეიძლება ეს მოთხოვნაა და პრობლემა არ არის, კახეთშიც იგივეა, მაგრამ ჩვენთან ხომ ასე არ არის. არ უნდა მოვიხარშოთ ერთ ქვაბში ყველა".

• **სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება, მათ შორის კოოპერატივების განვითარების მხარდაჭერა და დაზღვევის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა.** საგულისხმოა, რომ ფერმერები ათვისებობიერებენ რა, რომ დამოუკიდებლად ვერ უზრუნველყოფენ მსხვილი მეურნეობის ორგანიზებას და ასევე ხედავენ რა რეალიზაციასთან დაკავშირებულ სირთულეებს, ისინი კეთილგანწყობილნი არიან კოოპერატივების შექმნის იდეის მიმართ. თუმცა სირთულეებია უშუალოდ საქმიანობის წარმართვის, ორგანიზების და სამუშაოთა დანაწილების კუთხით. ცნობიერების და დამოკიდებულებების ცვლილებების აღნიშნულ პროცესში ხვნა-თესვის პროგრამამ თავისი წვლილი შეიტანა, თუნდაც თავისი ნეგატიურად შეფასებული კომპონენტების ნაწილითაც. მაგალითად, იყო შემთხვევები როდესაც გლეხმა დახწა მიწა, მაგრამ მოსავალი ვერ მოიყვანა, ან მცირე იყო ფართობი და ვერ მიაღწია ეკონომიკურად ეფექტიან მასშტაბებს. შესაბამისად თვითონვე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა დამატებითი ზომის მიღება - რაც პირველ რიგში გაერთიანებას, მეურნეობის გამსხვილებას გულისხმობს. ამასთან ნახეს, რომ მათი მეზობლები, როლებიც კოოპერატივებში გაერთიანდნენ, უკეთეს შედეგებს და შემოსავლებს იღებენ - რამაც ასევე შეცვალა მათი დამოკიდებულებები. საინტერესოა, რომ ალბათ, წლების წინ დაზღვევა რომ გაეგო გლეხს შესაძლოა არც კი გამოეხატა რაიმე ინტერესი და არც განეხილა რაიმე დამატებით შესაძლებლობად, თუმცა კვლევაში ჩართულმა ფერმერებმა ნათლად მოახდინეს იმის დემონსტრირება, რომ მათ ძალიან სჭირდებოდათ და ზუსტად იციან რა ეფექტი შეიძლება მიიღონ დაზღვევის პროგრამით სარგებლობის შემთხვევაში. მათში ძალიან დიდია მოლოდინი, რომ მომდევნო წლებში სახელმწიფო განახორციელებს ფართო მასშტაბიან სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის პროგრამას. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ფერმერებს ძირითადად ასეთი პოზიციები გააჩნიათ: "სახელმწიფო პოლიტიკა ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია და სწორი მიმართულებით მიდის ჩემი აზრით, ერთადერთი გზა არის სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის სოფლის მეურნეობის გამსხვილება. ამ ეტაპზე კოოპერატივების სახით

ჩამოყალიბება. ისე, არაა აუცილებელი მაინცდამაინც კოოპერატივების სახით იყოს, შესაძლებელია სხვა სახითაც იყოს. მთავარი არის ის რომ უნდა გაერთიანდეს ფერმერული მეურნეობები, შესაბამისად იაფი დაუჯდებათ მიწის დამუშავებაც. ხვნა-თესვა ვიცით რომ არ არის მრავალწლიანი არის წელს და შესაძლებელია მომავალში აღარც იყოს და აუცილებლად ვფიქრობ რომ გადანაწილდება კოოპერატივების სახით. დაიწყო მუშაობა ამ მიმართულებით, უკვე შემოსულია ტექნიკა მე როგორც ვიცი და ძალიან კარგი იქნება თუ განვითარდება ამ მიმართულებით”; ”ჩვენთან მთავარი პრობლემა არის ის, რომ გვაქვს მცირე მიწიანი ფართობები. მასიური მიწის ფართობები ძალიან ცოტა გვაქვს რაიონში. ჩამოყალიბდა რამოდენიმე კოოპერატივი, მაგრამ ჩვენ რომ გვინდა ისეთი მაინც არ არის. ისეთი არ გვინდა რომ ფურცელზე იყოს მართო, გვინდა შედეგი გამოიღოს ამან”; ”ცოტა ძნელიც არის 5 ერთნაირი თანამოაზრის შეკრება და გაერთიანება. თითქმის ყველა ოჯახს სესხი აქვს გამოტანილი და დამატებით სესხს ვეღარ გამოიტანენ, ესეც სირთულეს წარმოადგენს. ამიტომ მეტი ხელშეწყობა გვინდა, მეტი ცოდნა საჭირო როგორ მოვაბათ თავი ამ საქმეს”; ”იქ სადაც კოოპერატივები კეთდება, აუღეს ალლო როგორც სესხებს, ისე კოოპერატივებს. არის ქვემო ქართლი და იმერეთში არის წყალტუბო, მერე მოდის ვანი. იქ ეს ხალხი წლებია ბაზარში დგას. როცა წელიწადში ქონდა 10 000 ლარი შემოსავალი, ამ გაერთიანებით დაახლოებით 2 500 – 3 000 ლარი დაზოგა კიდევ და ხარჯებიც შეუმცირდა და მისთვის რატემაუნდა მომგებიანია”; ”უმეტესად ამ პროგრამის დახმარებით მან დაამუშავა ნიადაგი, ასევე შეიძინა მცენარეთა დაცვის საშუალებები, მაგრამ გარემო პირობებმა არ შეუწყო ხელი, უკვე ძალიან კარგი არის პილოტური პროგრამები სადაზღვევო, რომელიც მასიურად უნდა განხორციელდეს, რადგან სტიქიასთან ბრძოლის ერთ-ერთი საშუალება სწორედ ეს არის.

ბუნებრივია, უშუალოდ ხვნა-თესვის პროექტის კომპეტენციებს სცილდება ზემოთ განხილული საკითხების უმეტესობა, თუმცა მნიშვნელოვანია რომ მოხდეს მათი დღის წესრიგში დაყენება, რათა ეფექტიანად იქნას მიღწული ფერმერების მდგრად და განვითარებად მეურნეობებად ჩამოყალიბება. ნებისმიერ შემთხვევაში დასახელებული საკითხების მოგვარება ნამდვილად წარმოადგენს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გამოწვევებს. შესაბამისად, შესაძლებელია მომდევნო წლებში მოხდეს ხვნა-თესვის პროექტის ინტეგრირება სხვა პროექტებთან ან მიმდინარე სახით შენარჩუნების შემთხვევაში შესაძლოა დაემატოს გარკვეული კომპონენტები.

პროგრამის განხორციელების შეფასებისას დამატებით უნდა აღინიშნოს ადგილობრივი თვითმმართველობების როლი როგორც მისი დაგეგმვის, ასევე განხორციელებისა და შეფასების პროცესებში. ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მათი მეტად აქტიურად ჩართვა იქნებოდა უფრო ეფექტიანი და გაზრდიდა პროექტის მიზნობრიობას. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ არა მარტო თვითმმართველობა, თვითონ მოსახლეობაც უნდა იყოს ჩართული პროექტის დაგეგმვის ეტაპიდანვე, თუნდაც გამოკითხვების გზით. მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ მათ ინფორმაციული უზრუნველყოფის კუთხითაც.

პროექტის მდგრადობა და რისკები

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შესწავლილ იქნა, თუ რა ცვლილებები მოუტანა პროგრამის გახორციელებამ ფერმერს და რამდენად შეძლებს იგი საქმიანობის გაგრძელებას ამგვარი მხარდაჭერი პროექტის არარსებობის შემთხვევაში. შესაბამისად, თუ მიღწეული ცვლილებების შენარჩუნება შესაძლებელი იქნება პროექტის გარეშე, მაშინ შეგვიძლია თამამად დავასკვნათ, რომ პროექტმა მიაღწია დასახულ მიზანს და მისი შედეგები არის მდგრადი გრძელვადიან პერიოდში.

ძირითადი ცვლილებები. პროექტით მიღწეული ცვლილებები და მათი მასშტაბები ფერმერთა შეფასებით არაერთგვაროვანია. ცალსახაა, რომ ხვნა-თესვის პროექტით ყველაზე მეტი სარგებელი მცირემიწიანმა და დაბალშემოსავლიანმა ოჯახებმა მიიღეს, ანუ იმ პირებმა, ვინც საკუთარი ხარჯებით ვერ უმკლავდებოდა თუნდაც მცირე სავარგულების დამუშავებას ან ამას მხოლოდ თოხის საშუალებით ახერხებდა. რაც შეეხება შედარებით დიდი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების (0,25 ჰა-ზე მეტი) მფლობელ ფერმერებს, მათ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა თანხების დაზოგვას.

გარკვეულწილად ხვნა-თესვის პროექტი ატარებდა სოციალურ ხასიათს. პროექტის მიზნები კი თავისთავში მოიცავს მეტად ეკონომიკური ხასიათის გამოწვევებს. გრძელვადიან პერიოდში ფაქტობრივი მდგრადობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია უშუალოდ ამ ან მსგავსი ტიპის პროექტისათვის მეტი კონცენტრაცია გაკეთდეს ეკონომიკურ ეფექტიანობაზე. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის სოციალური ეფექტიც არაა უმნიშვნელო.

ფოკუს-ჯგუფების და ჩალრმავებული ინტერვიუების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტის გახორციელების შედეგად სახეუბა მრავალი ცვლილება. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ შორის ფერმერების ქცევის, ცნობიერებისა და დამოკიდებულებების ცვლილებები ყველაზე მნიშვნელოვანია პროექტის მგრადობის და ზოგადად სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივების თვალსაზრისით. თავისთავად ადგილი ჰქონდა ეკონომიკური ხასიათის ცვლილებებსაც, თუმცა მათი მასშტაბები არ არის საკმარისი ფერმერული მეურნეობების განვითარებისათვის. კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული ძირითადი ცვლილებები, რომლებიც პირდაპირი ან/და ირიბი გზით გამოიწვია პროექტის განხორციელებამ:

- **დამუშავდა ისეთი მიწები, რომლებიც წლების განმავლობაში იყო მიტოვებული; დაიზოგა მიწის დამუშავებისათვის ფერმერის მიერ გასაწევი ხარჯები.** თუმცა დასახელდა ფერმერთა მხრიდან შემთხვევები, როცა რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო ვერ მოახერხეს მათ მოსავლის მოყვანა ამ მიწებზე. წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით ამ მიწების დამუშავებაზე გაწეული ხარჯები იყო ფუჭი, რამდენადაც გლებს ვერ მოუტანა გაწეულმა ხარჯმა შემოსავალი. მაგრამ, ის ფაქტი რომ მიწა დამუშავდა მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით. საერთო ჯამში, გლებებისათვის პროექტმა უზუნველყო მიწის დამუშავებაზე გასაწევი ხარჯების დაზოგვა. ამასთან დაკავშირებით მათ განაცხადეს: "25 წლის დაუმუშავებელი მიწები ამ პროგრამის მეშვეობით დამუშავდა. ახლა 95% მოსახლეობის გეტყვით, რომ ამ პროგრამამ დადებითად იმოქმედა. ამ ყველაფერმა

გლეხის ჯიბეზე ძალიან დადებითად იმოქმედა.”; ”გლეხს ამ პროგრამით არ დაუხარჯავს მიწის დახვნაში თანხა. ადრე კი ერთი ძროხა უნდა გაეყიდა რომ დაემუშავებინა მიწა. ახლა დანახარჯების გარეშე შემოსავალი მიიღო და შეღავათია რა თქმა უნდა”.

- **ფერმერებმა მიიღეს ცოდნა და გაათვითცნობიერეს სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიების და მეთოდების მნიშვნელობა.** მიუხედავად იმისა, რომ ხვნა-თესვის პროექტი არ ყოფილა საგანმანათლებლო დანიშნულების, მან მნიშვნელოვანი ცვლილებები მოიტანა ფერმერის ცოდნის დონის ამაღლებასა და ცნობიერებაში. უფასო ხვნის კომპონენტებიდან გამომდინარე, ფერმერებმა ნახეს რამდენად ეფექტურია ტექნიკის გამოყენება და შედეგად გაჩნდა მოთხოვნა არა მარტო ხვნის, არამედ სხვა დანიშნულების ტექნიკის გამოყენებაზე, როგორებიცაა: დაფარცხვა, სათესი დანადგარი, მოსავლის ასაღები კომბაინი და სხვა. ხოლო აგრო ბარათების გამოყენებით მათ ისწავლევს ახალი შხამ-ქიმიკატების და ახალი სათესლე მასალების გამოყენების მეთოდები. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ თვითონ ფერმერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ამ ეტაპზე მათ ხელთ არსებული ცოდნა არასაკმარისია და გაათვითცნობიერეს, რომ მეტი ინფორმაცია სჭირდებათ როგორც თანამედროვე საშუალებებზე ასევე მათი გამოყენების მეთოდებზე.

- **გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო საქონლის მიწოდებელ საცალო მაღაზიათა რაოდენობა და მათი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა.** სასოფლო-სამეურნეო საქონლის საცალო ვაჭრობის დარგი მნიშვნელოვნად განვითარდა აღნიშნული პროექტის დამსახურებით. შედეგად, ერთის მხრივ შეიძლება ითქვას ჩამოყალიბდა დარგი, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ფერმერული მეურნეობების განვითარებისათვის, და მეორეს მხრივ ფერმერებს გაეზარდათ გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა საჭირო საქონელზე (შხამ-ქიმიკატები, სათესლე მასალა, ინვენტარი და ა.შ.). ამასთან, კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნული მაღაზიების პერსონალი იმავდროულად არიან ფერმერთა ინფორმირებისა და ცოდნის მიწოდების მთავარი პროვაიდერები.

ფაქტობრივად მიღწეული ცვლილებების გარდა პროექტის მდგრადობის შეფასებისათვის ასევე შესწავლილ იქნა ფერმერების დამოკიდებულები თუ რა შეიძლება მოხდეს პროექტის ამ სახით შეწყვეტის შემთხვევაში. შეფასებები არაერთგვაროვანია. დაბალშემოსავლიანი გლეხების უმეტესობა მიიჩნევს, რომ ისინი ვერ შეძლებენ მოსავლის მოყვანას დამოუკიდებლად. დარჩენების თქმით, კი ისინი მაინც მოიყვანენ მოსავალს, უბრალოდ თუ მანამდე ხვნა-თესვის ხარჯს პროექტი ფარავდა, პროექტის შეწყვეტის შემთხვევაში მათი ხარჯების სტრუქტურა გაიზარდება მიწის დამუშავებაზე.

ზოგადად რესპონდენტების უმეტესობა მიიჩნევს, რომ ძირითადად იგივე რაოდენობის მიწა დამუშავდება და იგივე რაოდენობის ფერმერები შეძლებენ მოსავლის მოყვანას, რაც პროექტის პირობებში ხდებოდა. თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც ფოკუს-ჯგუფის მონაწილე გლეხები თვლიდნენ, რომ პროექტის შეწყვეტას ამ ეტაპზე დამლუპველი შედეგები ექნებოდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფერმერთა პოზიციები ძირითადად ამგვარია: ”პროექტი თუ შეწყდება გამიჭირდება მიწის დამუშავება, მაგრამ მაინც შევძლებ.”; ”ჩემი აზრით ეს იყო ხელშეწყობის პროგრამა, მაგრამ სახელმწიფო ვალდებულიც არ არის რომ ყოველ წელს გააკეთოს. მომავალში თვითონ უნდა გააკეთოს გლეხმა თავისი საქმე. რა თქმა უნდა კარგი იყო ეს პროგრამა, მაგრამ ჩემი ზრით ეს პროგრამა არ არის ის, რაც

მომავალში განავითარებს სოფლის მეურნეობას.”; ”მე ვფიქრობ, რომ ამ პროგრამის შეწყვეტა არის სოფლის მოსახლეობის კატასტროფა, და იმის ფონზე, რომ სოფელი იცლება, ხდება სოფლის მოსახლეობის გადინება ქალაქში, ამ პროგრამამ პროცესი შეანელა და პროგრამა, რომ შეწყდეს გლეხს აუცრუვდება გული და დატოვებს სოფელს.”; ”ჩვენც ვიცით რომ პროგრამა უსასრულოდ ვერ იქნება, გარკვეულ ეტაპზე შეწყდება, მაგრამ რაღაც კულტურა მაინც ჩამოყალიბდა გლეხში და ეს უკვე კარგი იქნება. ვინც ადრე შრომობდა ისევე იმუშავებს და მიოყვანს მოსავალს - შეიძლება იმდენი ვერ დაამუშაოს მაგრამ თავის საქმე მაინც გააკეთებს”.

პროექტის ძირითადი რისკები. ხვნა-თესვის ხელშეწყობის პროექტის განხორციელებამ უდაოდ მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანა სოფლად მცოვრებ მცირემიწიან ფერმერებს. თუმცა იმავდროულად შექმნა გარკვეული რისკები, რომლებიც რისკ-ფაქტორებს წარმოადგენენ როგორც მიმდინარე პროექტისათვის, ასევე სხვა სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული და პოტენციური მხარდამჭერი პროექტებისათვის. აღნიშნულ რისკებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი ზეგავლენის მქონე არის შემდეგი:

- **შეიქმნა სერვისების და პროდუქტების უფასოდ მიღების მოლოდინი. დაწესდა გარკვეული სახელმწიფოსგან მისაღები დახმარების "ქვედა ზღვარი".** შედეგად, ნებისმიერი შემდომი მხარდაჭერის ინიციატივა, რომლითაც შედარებით მცირე ზომის სარგებელი იქნება გათვალისწინებული, რეალურად განწირულია დაბალი შეფასებისათვის. ამის დასტურია, თუნდაც ის გარემოება, რომ აბსოლუტურად ყველა ფერმერი თვლის, რომ 2013 წლის ხვნის პროექტი ბევრად უკეთესი იყო მიმდინარეზე და სწორედ 2013 წლის ანალოგიური პროექტების გახორციელებას მიიჩნევენ ოპტიმალურად.
- **ფერმერი გარკვეულწილად "გაზარმაცდა" და პასუხისმგებლობას საკუთარ მეურნეობის განვითარებაზე სახელმწიფოს აკისრებს.** ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ფერმერთა ნაწილის აზრით, გლეხი უკვე მიეჩვია ამ დახმარებას. რომ უნდა ავიდეს ტრაქტორი და მოუხნას უფასოდ მიწა, შემდგომ მიიღოს შესაწამლი მასალა, თესლი. როდესაც არ იყო დახმარება, მაშინ ის ახერხებდა და ძალას არ იშურებდა, ხართაც ამუშავებდა ამ მიწას, მაგრამ ახლა ყველა ელოდება სახელმწიფო როდის და რას გაუკეთებს.

პროექტის გახორციელების შედეგად მიღწეულ ცვლილებებისა და გამოვლენილი რისკების ერთობლიობაში შეფასებით, ასევე დეკლარირებული მიზნების შესრულების დონის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ პროექტი საშუალოდ მდგრადია. მაღალი სრულფასოვანი შედეგიანობისთვის, ასევე მდგრადობის მაღალი დონის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია სოფლის-მეურნეობის, მთლიანობაში როგორც დარგის მეტად განვითარება, რაც თავის მრივ მიოთხოვს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლის შედეგადაც: გამსხვილდება ფერმერული მეურნეობები; გაიზრდება ფერმერების ცოდნისა და უნარჩვევების დონე; მოხდება ფინანსებზე ხელმისაწვდომის ზრდა, თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები დაინერგება ქვეყნის მასშტაბით და ა.შ.

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები

- კვლევის შედეგად გამოვლინდა რომ “მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის” დეკლარირებული მიზანი ძირითადად მიღწეულია. პროექტის დეკლარირებული მიზნის ის ნაწილი, რომელიც გულისხმობს მცირემიწიანი ფერმერების საქმიანობის სტიმულირებას ფაქტობრივად მიღწეულია, ხოლო მდგრად ფერმერულ მეორნეობებად ჩამოყალიბების მიმართულებით გარკვეული პროგრესი არის. თუმცა ეს უკანასკნელი საკითხი დამატებითი ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს გრძელვადიან პერიოდში. ამასთან, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყანაში ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების დონეზე.

- სასოფლო-სამეურნეო საქონელზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა და აგრარულ სფეროში სასოფლო-სამეურნეო საქონლის საცალო ვაჭრობის განვითარება წარმოადგენენ პროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევას. თუმცა, აღნიშნული საკითხი არ იყო პროგრამის მიზანი. პროექტის განხორციელების შედეგად, ერთის მხრივ, მნიშვნელოვნად გაიზარდა და განვითარდა სამეურნეო საქონლის საცალო ქსელი, მოხდა რა სტაბილური გაყიდვების უზრუნველყოფა და მეორეს მხრივ ფერმერებს გაეზარდათ გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საქონელსა და ინვენტარზე. კვლევამ აჩვენა პროგრამის განხორციელების ორი მნიშვნელოვანი დადებითი შედეგი: (1) გაიზარდა არსებული მაღაზიების გაყიდვები; (2) უშუალოდ პროგრამისთვის გაიხსნა ახალი მაღაზიები, ისეთ გეოგრაფიულ ზონებში, სადაც მანამდე არ იყო მათთვის მომგებიანი ამგვარი მაღაზიების ოპერირება.

- პროექტის განხორციელების შედეგად შეიცვალა გლეხის ჩვევები და დამოკიდებულებები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების წარმოების თანამედროვე მიდგომებისა და მეთოდების გამოყენების მიმართ. თუ ადრე, როგორც წესი, გლეხები უპირატესობას ანიჭებდნენ მიწის დამუშავების, მოსავლის მოყვანის ტრადიციულ მეთოდებს, მათ რეალურად გაათვითცნობიერეს თანამედროვე საშუალებების უპირატესობები, დაიწყეს კითხვების დასმა, ინფორმაციის მოძიება, რაც ნაწილობრივ პროექტის განხორციელების უშუალო შედეგია.

- დადგინდა, რომ ფერმერებისათვის პროექტის ბენეფიციარად ცნობის და აგრო ბარათის გამოყენების კუთხით რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემა არ შექმნილა. ყველა ფერმერმა მიიღო შესაბამისი ბენეფიციარის სტატუსი. იყო ერთეული შემთხვევები, როდესაც პირები ვერ მოხვდნენ ე.წ. სიებში, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობების ძალისხმევით უზრუნველყოფილ იქნა დამატებითი სიები და შესაბამისად ყველა მსურველმა მიიღო ხვანა-თესვის ბარათი. საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის მოცვა იყო სრულყოფილი. თუმცა, აგრო ბარათის აღება დაკავშირებული იყო გარკვეულ ტექნიკურ სირთულეებთან, რაც გამოიწვია ძირითადად ბანკების ოფისებში მისვლის და გრძელ რიგებში ყოფნის გარემოებამ.

- ადვილად ხელმისაწვდომი იყო სასოფლო-სამეურნეო საქონლის მიმწოდებლებისათვის პროექტის ”მიმწოდებლად” რეგისტრაციის პროცესი და ამ კუთხით

ბიზნესერთეულებს არანაირი პრობლემა ან/და რაიმე დამატებითი ბარიერი არ შექმნიათ. "მიმწოდებლის" სტატუსი ერთნაირად მარტივად მიიღეს როგორც არსებულმა სავაჭრო ობიექტებმა, ასევე იმ ერთეულებმაც, რომლებმაც სწორედ აღნიშნული პროგრამის გამო გადაწყვიტეს საცალო მაღაზიის გახსნა. ამასთან, კანდიდატი კომპანიები ადვილად იღებდნენ საჭირო ინფორმაციას და რეგისტრაციისათვის რაიმე დამატებითი ხარჯების გაწევა არ დაჭირვებიათ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო საქონლის მიმწოდებელმა ობიექტებმა სრულყოფილად მოახერხეს საჭირო ასორტიმენტით უზრუნველყოფა და არ ყოფილა საჭირო პროდუქციის დეფიციტი. აგრო ბარათის გამოყენების კუთხით, როგორც სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ, ასევე მიმწოდებლებმა იმუშავეს გამართულად და ეფექტიანად.

- 2014 წლის პროგრამის შეფასებისას ძირითადი უკმაყოფილება აგრო ბარათის დაბალ ღირებულებასა და შესაძლო შესაძენი პროდუქტების ჩამონათვალის შეზღუდულობას ეხებოდა. რამდენადაც ადგილობრივი ფერმერები ძირითადად ახდენენ 2014 წლის წინა 2013 წლის ანალოგიურ პროგრამასთან შედარებას, რომლის ბიუჯეტიც 2-ჯერ მეტი იყო. შესაბამისად, 2014 წლის პროექტის ფარგლებში არ შეეძლოთ აგრო ბარათით ინვენტარის შეძენა.

- ჩავარდნები გამოვლინდა ხვნის მომსახურების მიღების პროცესში. ძირითადი შინაარსობრივი პრობლემები გამოვლინდა ორი მიმართულებით: (1) მცირე გაბარიტიან ტექნიკაზე დაბალი ხელმისაწვდომობა; (2) ტექნიკის მომსახურებისათვის რიგებში დგომა და რიგ შემთხვევებში შედეგად აგრო ვადების დარღვევა. მიუხედავად იმისა, რომ ხვნათვის პროექტის ფარგლებს სცილდება ტექნიკის პარკის შემადგენლობა და შესაბამისი მომსახურების გაწევის პროცედურული და დროითი ეფექტიანობა, აღნიშნული საკითხი პირდაპირ კავშირშია პროექტით გათვალისწინებული აგროტექნიკური (ხვნა) ღონისძიებების ჩატარების უზრუნველყოფის ხარისხთან და შესაბამისად პირდაპირ ასახვას პოვებს შედეგებზე. დამატებით საქმეს ართულებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დანაწევრიანება და მცირე ფართობები. აუცილებელია, რიგი ღონისძიებების გატარება როგორც ტექნიკის პარკის გაზრდის და განახლების თვალსაზრისით, ასევე მომსახურების გაწევის პროცესების დადგენისა და მართვის ხარისხის გაუმჯობესების კუთხით.

- ამასთან საგულისხმოა, რომ პროექტით არ იყო გათვალისწინებული დაფარვება, რამაც ფერმერების აზრით, ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა მოსავლიანობაზე. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მაღალმთიან რეგიონებში იყო გამოხატული მოსაზრება, რომ მათ არ სჭირდებოდათ ხვნის მომსახურება, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანი იყო მოთიბვა, რაც ასევე არ ყოფილა პროექტით გათვალისწინებული. ასევე ხშირად დაისვა მოსავლის აღებისათვის საჭირო კომბაინის ხელმისაწვდომობის საკითხი.

- კვლევის შედეგად გამოვლინდა ფერმერების ისეთი სასოფლო-სამეურნეო საჭიროებები, რომელთა მოგვარებაც მათივე აზრით მსგავსი ტიპის სახელმწიფო პროექტით იქნებოდა შესაძლებელი. მათ შორის, ყველაზე ხშირად დასახელდა შემდეგი საკითხები: (1) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულების რეგისტრაცია; (2) მიწის ანალიზი; (3) ინფორმირების უზრუნველყოფა და პრაქტიკულ სასწავლო კურსებზე ხელმისაწვდომობის

გაზრდა; (4) სასოფლო-სამეურნეო იარაღების, ნერგების მიღების შესაძლებლობა პროექტის ფარგლებში. (5) ტექნიკური მომსახურების სხვადასხვა სახეობების ხელმისაწვდომობის გაზრდა; (6) სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებების გატარება, მათ შორის კოოპერატივების განვითარების მხარდაჭერა და დაზღვევის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

- კვლევის შედეგად გამოვლინდა და შეფასდა პროექტის განხორციელების შედეგად მიღწეული ცვლილებები. მათ შორის ცვლილებები ფერმერების ქცევის, ცნობიერებისა და დამოკიდებულებების კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანია პროექტის მდგრადობის თვალსაზრისით. იდენტიფიცირებული ძირითადი ცვლილებები ასეთია: (1) დამუშავდა ისეთი მიწები, რომლებიც წლების განმავლობაში მიტოვებული იყო; დაიზოგა მიწის დამუშავებისათვის ფერმერის მიერ გასაწევი ხარჯები. (2) ფერმერებმა მიიღეს საბაზისო ცოდნა და გაათვითცნობიერეს სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიების და მეთოდების მნიშვნელობა. (3) გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო საქონლის მიმწოდებელ საცალო მაღაზიათა რაოდენობა და მათი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა.

- საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის განხორციელებამ უდაოდ მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანა სოფლად მცოვრებ მცირემიწიან ფერმერებს. თუმცა იმავდროულად შექმნა გარკვეული რისკები, რომლებიც რისკ-ფაქტორებს წარმოადგენენ როგორც მიმდინარე პროექტისათვის, ასევე სხვა სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული და პოტენციური მხარდამჭერი პროექტებისათვის. აღნიშნულ რისკებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი ზეგავლენის მქონე არის შემდეგი: (1) შეიქმნა სერვისების და პროდუქტების უფასოდ მიღების მოლოდინი. დაწესდა სახელმწიფოსგან მისაღები დახმარების "ქვედა ზღვარი"; (2) ფერმერი გარკვეულწილად "გაზარმაცდა" და პასუხისმგებლობას საკუთარ მეურნეობის განვითარებაზე სახელმწიფოს აკისრებს.

- პროექტის განხორციელების შედეგად მიღწეული ცვლილებებისა და გამოვლენილი რისკების ერთობლიობაში შეფასებით, ასევე დეკლარირებული მიზნების შესრულების დონის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ პროექტი საშუალოდ მდგრადია.

- მაღალი და სრულფასოვანი შედეგიანობისთვის, ასევე მდგრადობის მაღალი დონის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია სოფლის-მეურნეობის, მთლიანობაში როგორც დარგის მეტად განვითარება, რაც თავის მრივ მოითხოვს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლის შედეგადაც: გამსხვილდება ფერმერული მერუნეობები; გაიზარდება ფერმერების ცოდნისა და უნარჩვევების დონე; მოხდება ფინანსებზე ხელმისაწვდომის ზრდა, თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები დაინერგება ქვეყნის მასშტაბით და ა.შ.

- მსგავსი ტიპის პროექტის ეფექტიანობის გაზრდისათვის მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა რეგიონული სპეციფიკის გათვალისწინება. ამ კუთხით შესაძლოა დაიგეგმოს სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროექტები რეგიონულ დონეებზე, რომლებიც ასახავენ როგორც ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებს, ასევე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების თავისებურებებს.

დანართი
დანართი 1

ფოკუს-ჯგუფის სახელმძღვანელო - ადპტირებული ვერსია

კვლევის მიზანი: მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის შეფასებისა და რეკომენდაციების შემუშავებისათვის თვისებრივი მონაცემების შეგროვება.

წინამდებარე ინსტრუმენტის სპეციფიკური მიზანი: მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფერმერების მიერ შეფასების, პოზიციების, სუბიექტური დამოკიდებულებების, აღქმის და ძირითადი მოლოდინების გამოვლენა. ასევე, მათი ხედვების იდენტიფიკაცია, თუ როგორ შეიძლება კონკრეტული საჭიროებების ეფექტიანად მოგვარება.

მოდერატორს: გააცანით ჯგუფის წევრებს კვლევის მიზნები და თხოვეთ გაგეცნონ და თან მიუთითონ რა რომელი მომსახურება/პროდუქტი გამოიყენეს ბარათით.

დამატებითი საკითხები:

-ადარებენ წინა წლის პროგრამას - 2013 წლის, სადაც უყიდეს დანადგარები - ამ მიმართულებით, მოვთხოვთ დამატებითი შედარებითი ანალიზი, რათა გამოვლინეს რა ფაქტორები იყო უკეთესი წინა პროგრამაში და რატომ. მათ შორის იარაღების შესაძენად, ბარათების გაერთიანების შესაძლებლობა და ა.შ

- საკითხი დგება ისევ ტექნიკით მომსახურების ხარისხზე და დროზე. ასაუბრეთ ამ საკითხზე, თუმცა ეცადეთ სხვა საკითხებიც დაასახელონ რათა მხოლოდ ტექნიკა არ იყოს ძირითადი მიმართულება.

ამოცანა #1. პროგრამის მიზნების რელევანტურობის შეფასება. წარმოდგენები რა არის და რა უნდა იყოს პროგრამის მიზნები.

| # | კითხვა/საკითხი | შიდა ამოცანები |
|---|--|--|
| 1 | თქვენი აზრით რა არის ამ პროგრამის ძირითადი მიზანი და რამდენად შეესაბამება იგი თქვენს საჭიროებებს? ან რა უნდა იყოს მისი ძირითადი მიზანი/ამოცანები? | <ol style="list-style-type: none"> 1. არ გააცნოთ პროგრამის დეკლარირებული მიზანი. 2. უნდა გამოვავლინოთ როგორ თვლიან (1) რა არის პროგრამის მიზანი და (2) რა უნდა იყოს. 3. თხოვეთ მოგიყვანონ კონკრეტული მაგალითები. 4. თხოვეთ, აგიხსნან/დაგისაბუთონ საკუთარი პოზიციები. 5. ეცადეთ ამოიღოთ რაც შეიძლება მეტი შეფასებითი დებულებები, ეპითეტები, გამოვალინოთ მათი დამოკიდებულებები და მოლოდინები. 6. უნდა მივიღოთ პროდუქტების/სერვისების ჩამონათვალი |
| 2 | არის თუ არა ისეთი სერვისები/პროდუქტები რომლებიც აუცილებელია რომ ასეთი ტიპის პროგრამა უნდა მოცავდეს (და არ მოიცავს ამ ეტაპზე). ახსენით რომელი და რატომ. | |

ამოცანა #2 პროგრამის ეფექტიანობის და გავლენის შეფასება

| # | კითხვა/საკითხი | შიდა ამოცანები |
|---|---|---|
| 1 | თქვენი აზრით რა ძირითადი ცვლილება ამ პროგრამამ უშუალოდ თქვენთვის, თქვენი ოჯახისათვის? | <ol style="list-style-type: none"> 1. მიიღეთ ამომწურავი და დასაბუთებული პასუხი; თუ პირი შეადარებს სხვა პროგრამას, ეცადეთ ეს შეადარება იყოს ფაქტორებზე დაფუძნებული და არა პოლიტიზირებული. თუ პირი იტყვის რომ ცვლილება არ მომხდარა, მაშინ თხოვეთ რომ აგიხსნათ რატომ გამოიყენა ბარათი; 2. ნაკლოვანებების გამოვლენის მთავარი ამოცანაა გამოვავლინოთ რა ნაწილში არიან კმაყოფილები და რა არ მოწონთ. 3. უნდა მივიღოთ საჭიროებების ჩამონათვალი; 4. აუცილებელია პროდუქტული ნაწილის შეფასება. ამასთან დავადგინოთ რამდენად ადვილია მათთვის ამ პროდუქტების |
| 2 | რა არის პროგრამის ძირითადი ნაკლოვანებები | |
| 3 | სხვა რა სასოფლო-სამეურნეო საჭიროებები გქონდათ და აღნიშნული პროგრამა არ ითვალისწინებდა მათ მოგვარებას? | |
| 4 | თქვენთვის რამდენად ხელმისაწვდომი იყო ბარათის აღება? რაიმე ტიპის პროცედურული სირთულეების ხომ არ ქონდა ადგილი? ასევე შეძელით თუ არა ბარათის სურვილისამებრ გამოყენება? ზოგადად, როგორ შეაფასებდით ამ ბარათის აღებისა და გამოყენების პროცესს?გსემნიათ თუ არა ისეთი შემთხვევების შესახებ, როდესაც პირს ეკუთვნოდა ბარათი და ვერ მოახერხა მისი აღება ანდა გამოყენება? ხომ არ იცით რატომ მოხდა ასე? | |

| | | |
|--|--|-------------------------------------|
| | | გავლა და შესაბამისად ხელმისაწვდომი. |
|--|--|-------------------------------------|

ამოცანა #3 პროგრამის მდგრადობისა შეფასება და ძირითადი რისკების გამოვლენა

მოდერატორს: ამ ბლოკში უნდა გამოვლინდეს პირების პირადი, სუბიექტური დამოკიდებულებები და აღქმა. შესაბამისად ნებისმიერი მათი პოზიცია არის საინტერესო. თუმცა აუცილებელია, რომ მოხდეს ამათუ იმ პოზიციის ახსნა რატომ ფიქრობენ ასე: მაგალითად კონკრეტულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ასეთი შეგრძნებები აქვთ მხოლოდ, ან არ აქვთ ნდობა და ა.შ.

| # | კითხვა/საკითხი | შიდა ამოცანები |
|---|--|--|
| 1 | რამდენად ობიექტური და გამჭვირვალეა გლეხის პროგრამის ბენეფიციარად ცნობის პროცესი? | 1. ეცადეთ გამოავლინოთ უშუალოდ პროგრამის მიმართ მათი დამოკიდებულება, სამართლიანად მიმდინარეობს თუ არა იგი, მორგებულია თუ არა გლეხის ძირითად საჭიროებებს. რა უნდა შეიცვალოს ბენეფიციარად ცნობის პროცესში, ვის ეკუთვნის და ვის არა ეს ბარათი? |
| 2 | თვენი აზრით, იმ შემთხვევაში თუ პროგრამა მიმდინარე ფორმით შეწყდება, შეძლებთ თუ არა იგივე მიწის ფართობის დამუშავებას, იგივე მოცულობის მოსავლის მიღებას (სხვა თანაბარ პირობებში)? გთხოვთ აგვიხსნათ თვენი პოზიცია. | 2. დააზუსტეთ შეძლეს თუ არა შემოსავლების გაზრდა, და შესაბამისად ხომ არ გაუჭნდათ საშუალება და სურვილი ნებისმიერ შემთხვევაში დაამუშაონ მიწის ფართობი. |
| 3 | თქვენი აზრით რა უნდა გაკეთდეს ან რა კომპონენტები უნდა ჩაიდოს პროგრამაში, რომ იყოს მეტად შედეგიანი და გრძელვადიან პერიოდში მდგრადი. | 3. ბოლო კითხვის დასმისას თხოვეთ რომ იფიქრონ გრძელვადიან პერიოდზე, სულ დახმარებაზე რომ არ იყვნენ დამოკიდებულები როგორი უნდა გახდეს პროგრამა. |

ამოცანა #4 პროგრამის გაუმჯობესების რეკომენდაციების გამოვლენა

| # | კითხვა/საკითხი | შიდა ამოცანები |
|---|----------------|----------------|
|---|----------------|----------------|

| | | |
|---|--|--|
| 1 | რას შეცვლიდით ამ პროგრამაში? რას დაამატებდით ან თუნდაც გააუქმებდით - პროცედურული ანდა შინაარსობრივი თვალსაზრისით? | ამ ბლოკის მიზანია, რეკომენდაციების შემუშავება და იმის დადგენა, ხომ არ გამოგვრჩა რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი. |
| 2 | რა იქნებოდა თქვენი ძირითადი რჩევა? | აუცილებელია ბევრი მაგალითი; დასაბუთებული პოზიციები, რომლიც ლოგიკურად იქნება ახსნილი - გლახის პოზიციიდან |
| 3 | არის თუ არა რაიმე დამატებითი მნიშვნელოვანი საკითხი ანდა მოსაზრება (რომელსაც არ შეეხებოდა) აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებაში, რომელიც გასურთ რომ გაგვიზიაროთ? | |

5. ჩადრმავებული ინტერვიუს სახელმძღვანელო - საბაზისო ვერსია

კვლევის მიზანი: მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის შეფასებისა და რეკომენდაციების შემუშავებისათვის თვისობრივი მონაცემების შეგროვება.

ამოცანა #1. პროგრამის მიზნების რელევანტურობის შეფასება. წარმოდგენები რა არის და რა უნდა იყოს პროგრამის მიზნები.

1. როგორ შეაფასებდით პროგრამის მიზნებს, რამდენად შეესაბამება იგი დღეს მცირე ფერმერების წინაშე მდგარ გამოწვევებს?
2. რა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო საჭიროებები აქვთ დღეს მცირემიწიან ფერმერებს, რომლებსაც ისინი დაუმკიდებლად ვერ გაუმკლავდებიან? დაასახელეთ ისინი და თუ შეიძლება აგვიხსენით რატომ მიიჩნევთ ასე.
3. თქვენი აზრით, რა უნდა იყოს ამ ტიპის პროგრამის ძირითადი მიზანი?
4. თქვენი აზრით არის თუ არა ისეთი სერვისები/პროდუქტები რომლებსაც ასეთი ტიპის პროგრამა უნდა მოიცავდეს (და არ მოიცავს ამ ეტაპზე). ახსენით რომელი და რატომ.

ამოცანა #2 პროგრამის ეფექტიანობის და გავლენის შეფასება

1. თქვენი აზრით რა ძირითადი ცვლილება მოახდინა ფერმერებისათვის ამ პროგრამამ?
2. რა არის პროგრამის ძირითადი ძლიერი და სუსტი მხარეები?
3. რა სასოფლო-სამეურნეო საჭიროებები იყო ფერმერთა წინაშე და აღნიშნული პროგრამა არ ითვალისწინებდა მათ მოგვარებას?
4. თქვენი ინფორმაციით, რამდენად ხელმისაწვდომი იყო ბარათის აღება? რაიმე ტიპის პროცედურული სირთულეების შესახებ ხომ არ გსმენიათ? ასევე შეძლეს თუ არა ფერმერებმა ბარათის სურვილისამებრ გამოყენება? ზოგადად, როგორ შეაფასებდით ამ ბარათის აღებისა და გამოყენების პროცესს?

5. გსმნიათ თუ არა ისეთი შემთხვევების შესახებ, როდესაც პირს ეკუთვნოდა ბარათი და ვერ მოახერხა მისი აღება ანდა გამოყენება? ხომ არ იცით რატომ მოხდა ასე?

ამოცანა #3 პროგრამის მგრადობისა შეფასება და ძირითადი რისკების გამოვლენა

1. რამდენად ობიექტური და გამჭვირვალეა გლეხის პროგრამის ბენეფიციარად ცნობის პროცესი? არის თუ არა პროგრამა რეალურად ხელმისაწვდომი ყველა შესაბამისი ფერმერისათვის?
2. თვენი აზრით, იმ შემთხვევაში თუ პროგრამა მიმდინარე ფორმით შეწყდება, შეძლებენ თუ არა ფერმერები იგივე მიწის ფართობის დამუშავებას, იგივე მოცულობის მოსავლის მიღებას (სხვა თანაბარ პირობებში)? გთხოვთ აგვიხსნათ თვენი პოზიცია.
3. თქვენი აზრით რა უნდა გაკეთდეს ან რა კომპონენტები უნდა ჩაიდოს პროგრამაში, რომ იყოს მეტად შედეგიანი და გრძელვადიან პერიოდში მდგრადი.

ამოცანა #4 პროგრამის გაუმჯობესების რეკომენდაციების გამოვლენა

1. რას შეცვლიდით ამ პროგრამაში? რას დამატებდით ან თუნდაც გააუქმებდით - პროცედურული ან/და შინაარსობრივი თვალსაზრისით?
2. თქვენი აზრით რა დამატებითი სარგებლის მონატა შეუძლია ამ ტიპის პროგრამას და რა შემთხვევაში?
3. რა იქნებოდა თქვენი ძირითადი რჩევა?
4. არის თუ არა რაიმე დამატებითი მნიშვნელოვანი საკითხი ან/და მოსაზრება (რომელსაც არ შეეხებთ) აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებაში, რომელიც გსურთ რომ გაგვიზიაროთ?